


26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეა!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბატონი ბეჭედი სიფყაა, ცუდიღობით და ჭბრებით ბუბთის გაცანა ყელა უკადრისბაჭე უსამაგლესია.

პარასკევი, 26 მაისი. 2017 წ. №106 (8243), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

XX საუკუნე - ორჯერ მოპოვებული და ორჯერ დაკარგული დამოუკიდებლობა



ნუ დავკარგავთ უნეს, გავხდეთ ნამდვილად დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა!

ლუბს, რათა აქამდე მოსულიყო საქართველო. ეს არის ხმლით შემოსაზღვრული ისტორია. პატრიოტიზმი მათთვის უფლება და მოვალეობა იყო, სამშობლოს სიყვარული თავისთავადია, მარადიულია. თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქართველოს სიცოცხლის არტერიაა - როგორც უწყვეტი ძაფი, თითქოს სამშობლოსა და სიცოცხლის წყურვილის გარდა, არაფერი დაგვიტოვა ღმერთმა - „სამშობლო როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“. თუმცა, არავინ იცის, საით მიექანება ისევ ორად გაყოფილი საქართველო. პარტიული დაპირისპირება, იმედგაცურება... არადა, ოცნებადაკარგულ ხალხს არასდროს უშენებია ქვეყანა. განწყდა კავშირი თაობათა შორის, აღარ უსმენენ გამოცდილ ადამიანებს, რომ არაფერი ვთქვათ შორეულ წარსულზე. ერი, რომელიც წარსულს, თავის ისტორიას პატივს არ მიაგებს კვდება. ქვეყანა, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ იუბილე არ აღნიშნა, არც დიდგორობის - საქართველოს გადარჩენის დღის აღნიშვნას აპირებს (თურქებს ეწყინებათო), რა დამოუკიდებელია? არადა, დიდგორობა არის მარადი გენეტიკური შესენება ქართული სულის სიმტკიცისა, გაუტყელობისა, ნიჭიერებისა. იქნებ გერმანელები გაუნაწყენდნენ რუსებს 9 მაისის დღესასწაულის გამო, მაგრამ მათ კარგად იცინ, რომ ფაშოში, უპირველესად, მათივე მტერი იყო, რომ ხმლისა მქნეველი ერთ დღეს ხმლითავე დაიღუნებინ.

XX საუკუნის დასაწყისში, 1918 წელს მხოლოდ სამი წლით დაიხსნა თავი საქართველომ რუსეთისაგან. ახალმა, წითელმა იმპერიამ ისევ დაიპყრო ახლად ფეხადგმული დემოკრატიული რესპუბლიკა.

რუსეთის იმპერია კვლავ დაიშალა. 1991 წელს 9 აპრილი ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა ხელისუფლებამ სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა. ისევ აგრესია რუსეთისგან და 2 წლის შემდეგ თითქმის სანახევროდ დაკარგეთ დამოუკიდებლობა, მიიტაცეს ტერიტორიები, ოლონდ გაუგებარი პერსპექტივით.

საფრთხეები გარე თუ შინაური მტრებისგან ისევ არ წყდება, ათასწლოვან ბრძოლებში გამოვლილი ქვეყანა თვალდახელშეუა პატარავდება. არადა, თავისუფლებას გაფრთხილება უნდა, დაიშვა შეცდომები, ქვეყნის და-

მოუკიდებლობა სამოქალაქო ომმა შეარყია. მიუხედავად პოლიტიკური სიჭრელისა, პარტიული სიმრავლისა, უნდა გვახსოვდეს: ქვეყანა ერთია, რამაც უნდა გაგვეერთიანოს და ხალხი დანაშაულისა და ძალადობის ჭაობში არ უნდა ჩავთრიოთ, როგორც ეს გააკეთეს „ნაციებმა“.

დამოუკიდებლობის 25-წლიანმა ისტორიამ ბევრი გაკვეთილი დაგვიტოვა ფიქრისა და განხილვისთვის, სახელმწიფო და პიროვნული თავისუფლება თანმხვედრი უნდა იყოს, კაცს უნდა დაედგომებოდეს თავის ქვეყანაში. არაფრის მქონე, ღარიბი ადამიანი თავისუფალი ვერ იქნება, ის სხვაზეა დამოკიდებული მატერიალურად, ზნეობრივად. დამოუკიდებლობის აღდგენის დღე მხოლოდ თარიღად არ უნდა დავიყვანოთ. ერთმა უნდა იგრძნოს თავისუფლების სიკეთე, რაც ასე იგვიანებს. თავისუფლება და დამოუკიდებლობა მხოლოდ ადამი-

ანთა ერთი ჯგუფისა და კასტისათვის არ უნდა იყოს ბედნიერების წყარო. ასე რომ, საფიქრალია - ვიზიემით თუ გამოვფიზბლდეთ და გავაანალიზოთ, საით მივდივართ, წინ თუ უკან?

დამოუკიდებლობა თვითმყოფადობას გულისხმობს. არადა, ვერ მოვუარეთ ამ პატარა ქვეყანას. თავისუფლებას ზემოთ იხილი, რომელთა თავისუფლებაში არ შედის ქვეყნის თავისუფლების დაცვა. რელიგიური მრწამსის გამო, ბიბლიური თავისუფლების მოშველიებით, წვევამდელები არ მიდიან ჯარში, იქმნება ალტერნატიული ეკლესიები, ისე არი გებენ სასულიერო წოდებებს, თითქოს საზრიანთა კლუბის თამაში იყოს. ეტყობა, ქრისტიანობაზე შეტევის ახალი ტალღა მოდის, დემოკრატია! - ჩემი უფლებაა, მეყვარება თუ არა ქვეყანა, ადამიანებიო, შევექმნი თუ არა ოჯახსო, ჩემი უფლებაა, ვიმსახურობ თუ არა ჯარშიო! არადა, რამდენი თაობა შეენირა ბრძო-

№ 2 83

კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 40 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო ზეიმი გაუქმებულია

საქართველოს საპატრიარქო კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 40 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო ზეიმი გაუქმდა. ამის შესახებ განცხადებას საპატრიარქო ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებს.

„მსოფლიოში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობისა და საქართველოში არსებული სოციალური ვითარების გათვალისწინებით, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გაუქმდა კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 40 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო ზეიმი და მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებისა და სხვა საპატიო სასულიერო და საერო პირთა საქართველოში მონაწილეობა, - ნათქვამია განცხადებაში.“

დავიხვავთ ქვევრი-ქართული ეროვნული კულტურის საბანძური

კინო-დოკუმენტალისტიკის კლასიკოსი გიია ჭუბაბრია

XX საუკუნე – ორჯერ მოპოვებული და ორჯერ დაკარგული დამოუკიდებლობა

ნუ დაგვარგავთ შანსს, გაგხდეთ ნამდვილად დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა!

(პირველი გამოცემა) 26 მაისი

თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობის დღესასწაულია, არადა, მაგანი ყველაფერს აკეთებს ეროვნული სულისკვეთების ჩავლისთვის, შერყეულია რწმენა, ადათ-წესები, ქართული ხასიათი. არადა, რად გვინდა თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო ეროვნების, ქართველობის გარეშე! ამას ისიც ემატება, რომ საგანგაშოა დემოგრაფიული ვითარება. 2050 წელს უმცირესობაში აღმოვჩნდებით. ქვეყანა დამოუკიდებელია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ არის საკმარისი, მთავარი გვაკლია – ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, ერთმანეთის სიყვარული. ყველაფერი კი სახელმწიფო სისტემაში უნდა მოექცეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა თვალსაზრისით. ყველაფერს იმას ნუ დავაბრალებთ, რომ კონსტიტუცია არ გვივარგა, არადა, ისრაელს, შვეიცარიას, ინგლისს არა აქვს იგი, თუმცა, ქვეყანა ყვავის. კონსტიტუცია გეჭონდა სააკაშვილის დროს და საპრეზიდენტო რესპუბლიკაც, მაგრამ მივიღეთ – ნეოფაშიზმი! რა შია საქმე? გამოდის, მარტო ქარტია არ ყოფილა საკმარისი, ისევ ქვეყნის სიყვარული, ქრისტიანული რწმენა, სახელმწიფოებრივი აზროვნება და ერთობა თუ გადაგვარჩენს და არა პოლიტიკური აფერისტობა, ვითომ დემოკრატია, ვითომ პარტიები, ვითომ პრეზიდენტი, გათითოვაცება, მომხვეჭელობა, უსამართლობა, მოჩვენებითი კეთილდღეობა დაღუპავს ქვეყანას!

სახელმწიფოს აქვს თავისი ღირსება, კანონები, მრწამსი, იდეოლოგია. ეს ის გარემოა, სადაც იზრდება კაცი და ცდილობს, იყოს ამ მონოვალენტის, ღირსების სიმაღლეზე. არადა, ქვეყანას ღირსება აკლია და შესაბამისად – ადამიანებსაც. „ნაცებმა“ მოახერხეს ამ უღირსი გარემოს შექმნა და მთავრობას კიდევ ბევრი თავსატე-

ხი აქვს მის დასაძლევად. და მინც, გულს ნუ გავიტებით, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ვიყოთ იმ იმედით, რომ რუსეთიც ისწავლის ჭკუას, ჩვენც მოვეგოთ ჭკუაზე, გავერთიანდეთ, რამეთუ, „თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის“.

მინდა, მივმართო საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვიციანიშვილს:

ბატონო პრემიერო,
თქვენი ამასწინანდელი განცხადება დიდი პარტნიორის წინაშე, ცოტა გადაჭარბებული გვეჩვენა – საქართველომ ბევრ სიკეთესთან ერთად სიღარიბე დასძლია! გაგსულვართ ფონს და ეგაა – აღარ ისმის წყევლა-კრულვა ბანკებთან, ვალებში აღარ გვიყიდინა სახლებს, ბინებს თუ მიწებს. მათხოვრებიც სადღაც გამქრალან. აღარაა რიგი ნაგ-

ვის ურნებთან. ქართველი ქალები არ გარბიან საზღვარგარეთ ყველაზე დამამცირებელ მონურ სამუშაოზე, რამდენადაც ათასობით სამუშაო ადგილი გაჩენილა, თითქოს 2000 ბავშვი არ გარდაცვლილიყოს შიმშილისგან და შარშან ასიათას კაცს არ დაეტოვებინოს საქართველო სხვაგან ლუკმაპურის საშოვნელად. ისე, ევროპამ და ამერიკამ ვერ დასძლიეს სიღარიბე და ამ პატარა პარტნიორმა საქართველომ როგორ მოახერხა ეს, მართლაც საოცარია!

ეტყობა, თქვენ კარგად არ იცნობთ სიღარიბეს, ბატონო პრემიერო, არ იცით, რომ „ის არის პატარა ჯვარცმა“. ამას ვერც იმ მილიონერებს გააგებინებთ პარლამენტში, ასე რომ მომრავლებულან. არაფერს ვამბობ ქვეყნის დაქვევით, ქონების დათრევიტ გამდიდრებულ ნაცბიზნისმენებზე, მონებად

რომ აქციეს ხალხი. რას იზამ, კაპიტალიზმია, მდიდრებიც იქნებიან და ღარიბებიც. კონკურენცია, ბრძოლა, პროგრესის მომტანია, მაგრამ ერი რომ იღუპება, რად გვინდა ასეთი „ახალი წყობა“. სიღარიბემ საკუთარი მიწიდან განდევნა ქართველობა. ასეთი რამ თემურ ლენგამ თუ შაჰ-აბასმა ვერ მოახერხეს. შიმშილს გაექცა ქართველი კაცი 21 საუკუნეში, რამეთუ შიმშილი სიკვდილია უჩინო, ვერაგი და დაუნდობელი.

„თუ არს სიცოცხლე, რაა სიკვდილი, თუ არს სიმაძღრე, რაა შიმშილი“ – წერდა დიდი დავით გურამიშვილი, მაგრამ რომ არაა ასე? ადამიანი ბუნების ნაწილია, მისი ძუძუ გვინოვია, „ცოცხალი“ მისი ვართ და მკვდარნიცა, ოღონდ ესაა, ნაადრევად რატომ ვართმევთ ადამიანებს ღვთისგან ბოძებულ სიცოცხლეს?


200 პარტია ვითომ ქვეყნისთვის იბრძვის, არადა, ქვეყანა ერთია. გეოსტრატეგიულმა პრიორიტეტმა არ უნდა გვავნოს, ვერც რუსეთი იმდენს ვერ დაგვაზარალებს – როგორც შინაური მტრობა და ქიშობა.

ადამიანსავე მაინც ჩვენ ვართ – ხალხი, რომელმაც სააკაშვილი აირჩია. და მივიღეთ დიქტატურა დემოკრატიის ნიღბით – ათასობით გაუბედურებული ადამიანი, ნახევარი საქართველო საზღვარგარეთ გაიქცა და იქიდან არჩენს დარჩენილ ნახევარს. მივიღეთ დაუსწრებელი საქართველო, დაუსწრებელი ცხოვრება, არადა, ფული, რომელიც აშშ-მა გამოგვიყო და „ნაცბანდამ“ მიითვისა, ქვეყანას ააყვავებდა.

ის რომ, სული გვიდგას და შუქის, გაზისა და წყლის საფასურის გადახდას ვახერხებთ, ვიღაცის ბიზნისის ხელშემწყობი ვართ, ეს არის სიმდიდრის მაჩვენებელი? ან ის, რომ მხოლოდ საარჩევნო ხმად შემოვრჩით, ესაა ბედნიერება? – დემოკრატია ყვავისო, დემოკრატია და თავისუფლება ისაა, ცხოვრება რომ გინარია, ჩვენ კი არსებობისათვის ვიბრძვიტ და სიცოცხლის წყურვილის გარდა, არაფერი დაგვიტოვა ღმერთმა.

ამიტომაც, შეხვდით ადამიანებს და უკეთ გაიგებთ მათ გასაჭირს. „ნაცები“ და მათი „რუსთავი-2“ კუთხე-კუნჭულს არ ტოვებენ, რათა აგინონ „ოცნებას“, ვითომ ხალხის გამო არ სძინავს გვარამიას გუნდს! თქვენ მათ როგორ შეგადარებთ, მაგრამ იყავით უფრო რეალური, ლამაზ ფერებში ნუ აღიქვამთ ცხოვრებას. ეს სააკაშვილის სტილია, ვირტუალური ქვეყანა, ტელეგადაცემებით – ცხოვრება საამური. საამური როგორ არაა, მაგრამ ვისთვის? სიღარიბე დაძლეულია, ოღონდ ვისთვის? დემოკრატია არის და თავისუფლება, ოღონდ ვისთვის? დაეშვიტ ადამიანთა მიწაზე, აქ ტკივილთან ერთად კაცობის სითბოსაც იგრძნობთ და დაინახავთ ფასადს მიღმა ცრემლიან საქართველოს!

ზურაბ აბრალაშვილი
„სრ“ საკ. კორ.



„საქართველომ საკამოდ აკლიანი გზა გაიარა, მაგრამ ჩვენ ვაპყობთ, რომ ჩვენი ქვეყანა მიდის სწორი მიმართულებით“



25 მაისის მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა დამოუკიდებლობის დღე ყველას წინასწარ მიულოცა. „ჩვენმა ქვეყანამ საკამოდ აკლიანი გზა გაიარა, მაგრამ ჩვენ ვაპყობთ, რომ ჩვენი ქვეყანა მიდის სწორი მიმართულებით და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ვექტორი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მიჰყვება, ძალიან თანმიმდევრულად მიგვიყვანს იმ მიზნამდე, რისთვისაც არაერთმა ადამიანმა სიცოცხლე გასწირა და ყველაზე სანუკვარი, რაც ჰქონდა, სამშობლოს შესწირა. ჩვენი მომავალი თაობებისთვის ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს ღირსეული წევრი ცივილიზებული მსოფლიოსი. ჩვენ აუცილებლად მივალწევთ იმას, რომ საქართველო გახდეს ევროპული ოჯახის წევრი და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მიზანი არის სწორედ ის, რისთვისაც ჩვენ დღეს ვდგამთ მნიშვნელოვან ნაბიჯებს“, – განაცხადა კვიციანიშვილმა.

„გადაწყვეტილება მიღებულია – საქართველომ გახდეს ნატოს წევრი, – განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაპიუმ. „ყველა მოკავშირე მტყიცედ უჭერს მხარს საქართველოს. ჩვენ აქ ვართ, რათა მხარი დავუჭიროთ საქართველოს და მის მისწრაფებას შეუერთდეს ნატოს. თუ როდეს მოხდება ეს, ჩვენ არ ვიცით, ეს ნატოს ცალკეულ ქვეყნებზეა დამოკიდებული, მაგრამ გადაწყვეტილება მიღებულია – საქართველო გახდება ნატოს-ს წევრი. მთავარია პროგრესი და დავარწმუნოთ ისინი, რომ დროა, საქართველო ალიანსში მიიწვიონ“, – დასძინა უილიამ ლაპიუმ.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მთავრობის წევრები ელჩების მიერ რწმუნებულ სიგელის გა-

დაცემის ცერემონია გაიმართა. საქართველოს სახელმწიფო მეთაურს რწმუნებულ სიგელები რვა ქვეყნის: ალბანეთის, პაკისტანის, პორტუგალიის, ქუვეითის, მალტას, არგენტინის, ინდონეზიის, მონღოლეთის არარეზიდენტმა ელჩებმა გადასცეს. რწმუნებულ სიგელების გადაცემის ოფიციალური ცერემონიის დასრულების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა არაფორმალურ გარემოში დიპლომატებთან – გენტი გაზელთან, საიდ ხანი მოჰმანდთან, პაულა ლეალ დე სილვასთან, ნავაფ აბდულაზიზ ალენუზთან, ნატაშა მელი დაუდისთან, ჯულიან ლუის ტეცამანტისთან, იუდი კრისნანდისტისთან, ლუესან ბატულგასთან ქვეყნებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა, დიპლომატიური ურთიერთობის განვითარების პერსპექტივები განიხილა და მათ შემდგომ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.



ჭეშმარიტად შეიძლება უკვდავ-უბერებელი ვუნდით კერამიკას, მის ასეულობით სახეობას, რომელთა შორის დაინახო კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე 270 საუკუნის წინათ, არა თუ მცირდება ანდა კარგავს მნიშვნელობას, არამედ პირიქით სისტემატურად იზრდება და უმჯობესდება როგორც ტრადიციული, ასევე ტექნიკური კერამიკის გამოყენების სფეროები, იხვეწება მათი საექსპლუატაციო თვისებები, იქმნება ახალი სახეობათა კერამიკა, რომელთა სინთეზი უკავშირდება ახალი ტრადიციული ბუნებრივი ნედლეულების და ქიმიური ნაერთების გამოყენებას, დღემდე უცნობი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას და ეს არის შემთხვევითი: ყოფა-ცხოვრების, მეცნიერების, ახალი ტექნიკისა და მრეწველობის ვერც ერთი მნიშვნელოვანი დარგი გვერდს ვერ აუვლის კერამიკულ მასალებს.

იაპონიის 100 ლიდერი ფირმის პრეზიდენტის და სპეციალისტის ერთობლივი დასკვნით XXI საუკუნეში ხუთი ძირითადი პრიორიტეტული მეცნიერული კვლევის მიმართულებებში დასახელებულია კერამიკა.

ტრადიციული კერამიკის გამორჩეული სახე ქვევრი 8000 წლის ისტორიის თიხის უნიკალური ჭურჭელია, რომელსაც საქართველოში ჩვენი შორეული წინაპრები ღვინის დასაყვანად და შესანახად იყენებდნენ. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ღვინო მხოლოდ ქართული აბორიგენული ვაზის ჯიშებისაგან მზადდება და შენარჩუნებულია ერთადერთი ტექნოლოგია ღვინის კახური წესით ქვევრში დაყვანისა. ქვევრის დამზადება ძალიან რთული, შრომატევადი, ხელოვნებად ქვევრის ნაკეთობაა და მისი ხარისხი მეთუნის ცოდნაზე დამოკიდებული. საუკუნეების განმავლობაში ქვევრის ფორმა რამდენადმე დაიხვეწა, მაგრამ უცვლელი დარჩა გამოყენებული ნედლეულის, აშენების, შრომის, გამოწვის და სხვა ტექნოლოგიური პროცესები. მაგრამ, როგორც წარმოების ნებისმიერი დარგი, რომელიც სათავეს იღებს შორეულ წარსულში, მოითხოვს განახლებას, სრულყოფას და ხარისხის ამაღლებას, რასაც არსებული ცხოვრებისეული პირობები მოითხოვს.

ამ მიზნით გახდა „საქართველოს რესპუბლიკის“ 2 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ჩემი წერილი სათაურით: „ქვევრი (ჭური) მუზეუმის მუზეუმი ღვინის იმპიათი ჭურჭელი“. წერილში განხილულია ჩვენი ნახევარსაუკუნოვანი კვლევის შედეგები კერამიკაში, აბორიგენული სხვადასხვა ქვეყნის ათობით საწარმოში და დანერგილი რიგი დანიშნულების კერამიკული პროდუქციის სახით.

ჩვენი მიზანია ალავრდის სამონასტრო კომპლექსის ფარგლებში, კერძოდ, იყალთოში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით აშენებულ „ქვევრის აკადემიაში“ დაენერგოს ჩვენი ტექნოლოგიური კვლევის სიახლეები მალაი ხარისხის მრავალტონიანი ქვევრების მისაღებად.

სამწუხაროდ გამოჩნდნენ კერამიკის დარგში არაკომპეტენტური, რბილად რომ ვთქვათ ელემენტარული თავისებურებებისა და კანონების არმოდელი ადამიანები, რომლებიც ქვევრის, ჩვენი ეროვნული საგანძურის მიმართ უდიდეს დამოკიდებულებასა და უმძიმეს შეცდომებს უშვებენ.

ფურნალში „ახალი აგარაული საქართველო“ (მაისი, 2017) გამოქვეყნდა ბატონ ჟორა გაბრიჭიძის სტატია „ქვევრი კი არ სუნთქავს, ქვევრში ღვინო სუნთქავს“. რამდენადაც ვიცით: ბატონი ჟორა სპეციალობით აგრონომია, იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებათა კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია. ბატონი ჟორა ხშირად მოსულა ჩვენთან კათედრაზე, კარგი მოსაუბრე და წესიერი ადამიანია, მიუხედავად სტატიაში გამოთქმული სერიოზული ტექნოლოგიური შეცდომებისა და პასკვილარული ფრაზებისა, მის მანქანა პატრიკ ვეიკ. უფრო მეტად ვადასაშაულებ იმ ცენტრს, სადაც მოღვაწეობს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ასეთი ცენტრები ჩვენი სოკოებივით მომრავლდნენ. ისინი ვალდებული არიან გაუფორთხილდნენ საკუთარ პრესტიჟს და კონტრაქტორს გაუჩინონ მათი სამზარეულოდან გამოსულ „მარგალიტებს“. საფუძვლიანი ეჭვი მიჩნდება, რომ ბატონი ჟორა ნახალისებულია სხვა პირებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ამდენ შეცდომას არ დაუშვებდა.

აი, არასრული პასუხები იმ შენიშვნებისა, რომელიც მოყვანილია ბატონ ჟ. გაბრიჭიძის სტატიაში:

- სერიოზული ტექნოლოგიური შეცდომაა ქვევრის თიხისთვის კარგად გარეცხილი მდინარის ქვიშის დამატება. ქვიშა (კვარცი) გასურებით და გაცივებით განიცდის პოლიმორფულ გარდაქმნებს სხვადასხვა ტემპერატურაზე, რაც იწვევს მარცხვების მოცულობით ცვლილებებს, შედეგად კერამიკულ ქალაში (ქვევრში) წარმოიქმნება დაძაბულობის ძალები და ვითარდება



დაპირისპირი ქვევრი -

ქართული ეროვნული კულტურის საბანძური

„ღვინო ვითარცა სისხლი ჩემი“ სახარმპილან

დიდი რაოდენობით თვალთ უხილავი თიხისებრი ბზარები, ე.წ. „ცეკვი“. ქვიშის გამოყენება, როგორც გამამჭლებელი, შესაძლებელია მხოლოდ ისეთ კერამიკულ ნაწარმში, სადაც იგი დნება, ან მაღალ ტემპერატურაზე სხვა ოქსიდებთან წარმოქმნის მტკიცე სტრუქტურის კრისტალურ ნაერთებს, ქვევრში რჩება თავისუფალი სახით. ეს კერამიკის ანბანური ჭეშმარიტებაა, რაც ჩემმა პატარა შვილთაშვილებმა საბამ და ლუკამ კარგან იცინან.

- უმძიმესი, გამოუსწორებელი შეცდომაა თითქოს ღვინო ქვევრის მიმართ აბსოლუტურად ინერტულია. პირიქით, მეცნიერ ენოლოგთა მიერ დიდი ხანია, დადგენილია, რომ თიხის ქვევრის მინერალური ნივთიერებები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ღვინის დადუღება-დავარგებისას მიმდინარე ინტენსიურ ჟანგვა-აღდგენისა და იონცვლით პროცესებში. ქვევრის მინერალური ღვინოსთან ინტერაქცია (ურთიერთქმედება) დადასტურებულია, როგორც ჩვენი, ასევე ევროპაში ცნობილი გერმანიის მეისენის კერამიკის ინსტიტუტის მიერ, ქვევრიდან ღვინოში მოხვედრილი მინერალური ნივთიერებების პროდუქტის სასურველი ელემენტებით გამოიდრეებაზე მიუთითებს. ევროპის ქვეყნებში, როგორცაა ესპანეთი, იტალია და სხვა დღესაც იყენებენ ღვინის ქვევრებს მინაში ჩადების გარეშე, რომლებშიც ღვინის დავარგების პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ ინტერაქციის ქვევრის მინერალებსა და ღვინოს შორის. სწორედ ჩვენი კვლევები „ქვევრის აკადემიაში“ მიზნად ისახავს ბიოლოგიურად აქტიური დანამატებით (ბენტონიტური თიხები) კვლევა გავზარდოს ღვინის ხარისხი. ვადასაშაულებ, ამ თიხების გამოყენებით გერმანული კომპანია „სანო ჰოლდინგი“ საქართველოში ააშენებს ქარხანას „ცხოველთა თანამედროვე კვება“.

- ნუ ეძებთ გაუმართლებელ თეორიებს — როცა ქვევრებიან სითხე ფონავს, ან გარედან შეიწოვება — უხარისხო ქვევრის ბრალია.

- თითქოს ქვევრის თიხების ერთი ორმოდან ამოღება ხდება, ამის თქმას ბარონი მიუნ-ჰაუზენიც არ იკადრებდა და თუ სადმე იხილეთ, რბილად გეტყვით — სისულელეა.

- ერთმანეთში ნუ ურევთ — პერლიტი ძლიერი მალდობელია, ხოლო პემზა გამამჭლებელი, რომლებსაც ჩვენი რეკომენდაციით საერთაშორისო მასშტაბით დიდი გამოყენება აქვს. ისინი ისეთივე ალუოსილიკატებია, როგორც ქვევრის თიხა, ამიტომ თქვენი „შეგონება“ ახალ ნედლეულთან დაკავშირებით ტექნოლოგიურ „კოჭლობად“ მიმაჩნია.

- ჩვენ მიერ წარმოდგენილ ქვევრებს იმისდა მიხედვით, თუ როგორი ტექნოლოგიური რეჟიმით ვანარმოებთ (ნედლეული, კაზმის შედგენილობა, სითბური პროცესები) უყალიბდება უნიკალური ფორმისა და შედარებით, რომლის ზომაც მერყობს 10 ნანომეტრიდან 10 მიკრომეტრამდე. სწორედ ქვევრის ნაწარმოებს შეუძლია გარდაქმნას 100% ნატურალური ყურძნის წვენში არ-

სებული 85% წყლის ჩვეულებრივი სტრუქტურა სამკურნალო თვისებების მქონე 4-ეული სტრუქტურის მქონე წყლად, რომლის აღმოჩენა ნია ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფ. პოლაკი. ალავრდის სამონასტრო მარანში მიღებული ქვევრის ღვინო შესავალი იქნება იაპონიის კობეს უნივერსიტეტის „AquaPhotomies“-ის ცენტრში. მხოლოდ მათ ძალუძთ განსაზღვრონ 4-ეული ვაზის მქონე წყლის სტრუქტურა. კვლევებში ჩართულია ცნობილი ქართველი მეცნიერი — ბიოლოგი თენგიზ ჯალიაშვილი. ამ მოვლენას ვანიჭებთ უაღრესად დიდ მნიშვნელობას, რადგანაც ახლოს ვართ სერიოზულ მეცნიერულ შედეგებთან.

უფალს შევთხოვ, რომ მოცემულ შემთხვევაშიც გამართლდეს ცნობილი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის ვლ. გინზბურგის უკვდავი სიტყვები: „საინტერესოა, რომ ეს არ არის ერთი შემთხვევა, როცა კერამიკა გახდა პროგრესის „სასხლეტი კაუჭი“. 27000 წლის წინათ კაცობრიობამ თავისი არსებობის ისტორიაში მოახდინა ყველაზე დიდი ტექნიკური გადატრიალება — შექმნა ხელოვნური მასალები და ეს იყო სწორედ კერამიკა, მიღებული თიხის შეცნობით“.

- რაც შეეხება თქვენს შეგონებას, რომ ქართველმა მექვევრეებმა დიდი ხანია, ისწავლეს ქვევრის შიგა ზედაპირზე 1-2 მმ სისქის აყალის გადკერა, დაუშვებელია მათი არაეთვალისწინებული თერმული გაფართოების შედეგად ფენა დაიბზარება, რაც გაართულებს ქვევრის მომსახურებას და უარყოფითად იმოქმედებს ღვინის ხარისხზე — არ ვგებო!

- უხეში შეცდომაა თქმა იმისა, რომ ქვევრის კედელი დრეკადია, ტექნიკურ კერამიკაში ცნობილია დრეკადი მასალები, როგორცაა ვოლასტონიტის, უფანგადო ნაერთების, კერამიკების და ზოგაერთი სხვა ნაწარმი, რომლებიც ქვევრის შედგენილობიდან ისეა დაცილებული, როგორც ცა და დედამიწა.

- მომყავს ბატონი ჟორას „შეგონებიდან“, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი გამოუსწორებელი შეცდომის ამონარიდი: „ქვევრში ღვინო არაა იზოლირებული გარე სამყაროსაგან და მისთვის საჭირო ჟანგბადის აღება, ქვევრის კედლის გავლით, ქვევრის გარშემო შემოყრილი ჟანგბადით გაჯერებული სველი მიწიდან შეუძლია“, „...ასეთივე მდგომარეობაა ქვევრის სველი კედელი და ქვევრში ჩასხმული ღვინო, ანუ სამივე მათგანი ჟანგბადით გაჯერებულ ერთ მთლიანობას წარმოადგენს“. „...ქვევრში ღვინის ჟანგბადით მომარაგების ამ პროცესს ჩვენმა წინაპრებმა ქვევრის სუნთქვა უწოდა, თუ ეს ტერმინი სრულად არ გამოხატავს მასში მიმდინარე პროცესების არსს, მაშინ ვთქვათ, რომ „ქვევრში ღვინო სუნთქავს“ და არა „ქვევრი სუნთქავს“. ეს რომ ნაკიკითხე, შიშნარევა სიმე შემაქანა და გამახსენა ცნობილი ინგლისელი მწერლის კურტ ვონეგუტის სიტყვები: „დმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც

შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისგან“. შეუძლებელია 3 სმ სისქის ქვევრის სველ კედელში ჟანგბადის ნაკადი გაატარო, თუნდაც 5 ატმ წნევის დამჭირნი ვენტიატორით. ან საიდან მოიტანეთ ჟანგბადით გაჯერებული გრუნტი?! უფალმა დაგვიფარა, რომ ეს არ მოხდებოდა.

ბატონო ჟორა, ახლა ჩემს შეგონებასაც გაგიზიარებთ:

რადონი რადიაქტიური გაზია, მას არ გააჩნია სუნი, გემო და ფერი. რადონი უწყვეტად მოედინება დედამიწის ქანებიდან, იხსნება მინის ქვეშა წყლებში და მასთან ერთად ამოდის მინის ზედაპირზე, შეერევა სხვადასხვა ქანებს. განსაკუთრებით საშიშია ჩაკეტილ სივრცეში, როგორიც ქვევრია, ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას რადონი ხელს უწყობს პროცესებს, რომლებიც იწვევენ კიბოს დაავადების წარმოქმნას ფილტვებში. ეს საკითხი მეცნიერებაში ცნობილია, ამიტომ უფალმა დაგვიფარა, რომ ქვევრი თქვენი „თეორიით“ ჟანგბადს ატარებდეს. სხვა შემთხვევაში მოგიხვედათ ქვევრთან მეცხვარის კომბლით დგომა, რათა რადონი არ გაგეტარებინათ ქვევრიდან ღვინისკენ.

- ბოლოს კიდევ ერთი პასკვილი: პროფ. გურამ გაფრინდაშვილის წერილი „ქვევრი (ჭური) მუზეუმის მუზეუმი ღვინის იმპიათი ჭურჭელი“, სადაც ბატონი პროფესორი ბევრ საქართველო საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, მათი უმრავლესობა, სამწუხაროდ, დღემდე მოუგვარებელია და ცუდად იმოქმედებს ქვევრის მსოფლიო მედიკონობაში დაწერგვის საკითხის დადებითად განწყობაზე“ „...იმის დანერა, რომ ქვევრში ღვინო არ სუნთქავს, ისეთი დიდი მეცნიერის მიერ, როგორც პროფ. გ. გაფრინდაშვილია, განაჩენის ტოლფასია ქვევრისთვის“.

ვაცხადებთ, რომ „ქვევრის აკადემიაში“, წარმოებული ქვევრები იქნება უმაღლესი ხარისხის, ხოლო ღვინო მართვადი ინტერაქციული პროცესებით სხვადასხვა მინერალუბის ოპტიმალურად გაჯერებული.

უფრო დაზავებული პასუხი, რომ გაცეცხობოთ ჟორას, მოვიშველიებ მსოფლიო დონის მეცნიერ, გეოქიმიკოს, როგორც ახალი მეცნიერული მიმართულების დამაარსებელს აკად. ალექსანდრე ფერსმანს: „ახალი მკვლევარი თავის ლაბორატორიაში ხელოსანი კი არ უნდა იყოს, არამედ შემოქმედი ახალი იდეებისა, მეცნიერების ხელოსნებს ავცერთი დიდი აღმოჩენა არ გაუკეთებიათ“.

მეცნიერული გამარჯვების უცერად მიღწევა არ შეიძლება, რომ ის თანდათან უნდა მომწოდდეს იდეათა ხანგრძლივი მომწიფების გზით (რამიც დამარწმუნა კერამიკაში 60 წელზე მეტმა მუშაობამ. ის იბადება, როგორც ძიების შედეგი დროთა განმავლობაში, ზოგჯერ მთელ თაობათა მანძილზე, ხშირად ის იმ უკანასკნელ წვეთს ჰგავს, რომელიც ჭიჭიას ავსებს, შეამჩნიო სიხლე კვლევის მუშაობაში და თავის დროზე ხელი აიღო ძველ, ჩვეულ ჰიპოთეზებზე, ჩემი აზრით, ნამდვილი მეცნიერის ღირსებას შეადგენს.

ბევრს სწამს, რომ აღმოჩენა ხშირად მხოლოდ შემთხვევით ხდება, რომ რენტგენმა შემთხვევით შეამჩნია გაშუქებულ კერანზე რენტგენის სხივების მოქმედება. სახელგანთქმულმა ფრანგმა ფიზიკოსმა ანრი ბეკერელმა 1896 წელს შემთხვევით აღმოაჩინა მანამდე უცნობი რაღაც უხილავი სხივების განსხვავადობის მოვლენა ურანში.

მომწმენდილ ცაზე მეხის გაგარდნას ჰგავდა გასული საუკუნის 80-იან წლებში შევიცარელი ფიზიკოსების დ. ბენდორცისა და კ. მიულერის მიერ ოქსიდური კერამიკის საფუძველზე შემთხვევით მალაქემპერატურიანი ზედაექტროგამტარი მასალის მიღება. მაგრამ ეს შემთხვევებიც ხომ მეცნიერების მიერ ახლის შემწევის შესანიშნავი უნარია, ამიტომ ყველა ისინი ნობელის პრემიის ლაურეატები არიან.

მოყვანილი მასალების გარდა, არსებობს უამრავი უტყუარი შედეგი ჩვენი კვლევებისა, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნულ მოსაზრებებს, მაგრამ ეს მასალები საგაზეთო სტატის ფარგლებს შორდება, ამიტომ დავეჯერდეთ მოყვანილით.

ამ სტატის შედგენისას ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ 27 მაისს იყალთოში მოზრძანდება მთავრობის დელეგაცია მინისტრებთან ერთად. ბატონებო, მოგმართავთ, დიდი მეცნიერის, ნობელის პრემიის ლაურეატის „კაცობრიობის მწყალობლის“ ლუი პასტერის სიტყვებით: „გემუდარებით მეტი ყურადღება მიაქციეთ ლაბორატორიებთან ნოდებულ წმინდა თავმჯდომარეებს, დაუნებთ მოითხოვეთ, რომ ისინი მეტი იყვნენ და უფრო უკეთ მოწყობილნი, ისინი ხომ ჩვენი მომავლის, ჩვენი სიმდიდრის და დოვლათის ტაძრებია“.

გურამ გაფრინდაშვილი,
საქართველოს გეოქიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი

„ხელოვნების ძეგლის“ საპატიო წოდების მფლობელმა, საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ კინოდოკუმენტალისტიკის კლასიკოსად აღიარებულმა გია ჭუბაბრიამ საუბარი კრიტიკული ნოტიო დაინწყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შეხვედრის მიზანი საზიარო და ამაღლებული იყო – 28 მაისს მას 80 წელი უსრულდება.

იუბილე აქვს ბატონ გიას! ქართულ, რუსულ და სხვა კინოენციკლოპედიებში მას მოიხსენიებენ კინორეჟისორად, კინოოპერატორად, სცენარისტად, პროფესორად, საქართველოსა და უცხოეთის კინოფესტივალების ლაურეატად.

მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედების პატრონია: აქვს „საქონელი ურიცხვი“ – 22 ფილმი, თითოეული გამორჩეული და განსაკუთრებული. ამ ტვირთის სიმძიმემ ცოტა მხრებში მოხარა.

უფრო დარგის პრობლემები აწუხებს და აფიქრებს; აქედან – ის, არცთუ საზიარო აქცენტი, რომლითაც საუბარი დაინწყო.

და კიდევ, არცთუ ლაღი ცხოვრების წლები (რბილად რომ ვთქვა), რომლებმაც მის ოჯახსა და ახლობლებზე სამუმივით გადაიარა, მაგრამ ვერ გატყდა.

– საქართველოში დღეს, სამწუხაროდ, არ არსებობს დოკუმენტური ფილმის წარმოების კლასი. თუმცა შეგვიძლია დავიტრიალებოთ, რომ ჯერ კიდევ 1912 წელს *ამაშუკელმა* გადაიღო პირველი დოკუმენტური ფილმი, მაშინ, როცა სხვა ქვეყანაში არსად მსგავსი რამ არავის გაუკეთებია. მეორე დიდი პიროვნება იყო *კალატოზოვი* (კალატოზიშვილი), „ჯიმ შვანტეს“ („სვანეთის მარილის“) ავტორი. ქრონოლოგიურად მესამეა *გიორგი შენგელაია*, რომელმაც

გან შექმნა *კახი კავსაძის მამამ და ამით ბევრი ჩვენი თანამემამულე სიკვდილს გადაარჩინა.*

– მარტივი თემა არ არის.

– და მით უფრო საინტერესოა. ერთი რაჭველი კაცი *გაგა დემეტრაშვილი*, რომელიც ამ გუნდში იყო და გადარჩა, საინტერესო ამბებს მიყვებოდა ამ გუნდის ციმბირში გადასახლების პერიოდში.

თუნდაც „ტელეშეხებით“ (პირუტყვის გადასაცვანი ვაგონებით) მგზავრო-

ნულად მზად იქნება თითოეული ჩვენგანი, თუნდაც ყოფით დონეზე. დემოკრატი რომ გახდეს ქართველი, სუფთა უნდა იყოს სინდისის წინაშე.

– დღევანდელ ჩვენს დემოკრატიულ ბაზე რას იტყვი?

– ძალიან გრძელი გზა გვაქვს გასავლელი დიდ დემოკრატიამდე. სამწუხაროდ, ჩვენ გარშემო ბევრია ისეთი, ვისაც ვერ ვნდობი. არ მინდა დავასახელო. დიდი ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“ ჩვენი სახე, ჩვენი პორტრეტია.

ჩემი მშობლები თბილისში ილიას სახლში ცხოვრობდნენ, რომელიც თავის დროზე პაპაჩემს ჩააბარეს. ჩემი ბებია ასსენებდა „ჩერკიზოვსკაიას“ ქუჩას, დღეს, მგონი, ჩუბინიშვილის ქუჩაა. წყალდიდობების გამო გადმოსახლდნენ სოლოლაკში. 1940 წელს კი ჩეკისტები მოვიდნენ, ჩვენთან და წიგნები და ხელნაწერები, რომლებიც ჩვენთან ინახებოდა, წაიღეს.

სამწუხაროა, რომ ჩვენ გარშემო ვხვდებით ადამიანებისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევებს, რაც, ჩემი აზრით, ზედმეტი გამძაფრების გარეშე უნდა ასახოს კინოხელოვნებაში.

ლითად, ბატონ *შალვა გაბისკირიას* დაგისახელებდით, *არწონდ გეგეჭკორს*, *გურამ ლომეცს*. სხვებიც არიან, თუმცა ძალიან ცოტანი და ამიტომაც, რომ ისინი ამინდს ვერ ქმნიან.

მათი პორტრეტები უნდა წარმოაჩინოს დღევანდელმა დოკუმენტურმა კინომ.

მაგრამ როგორ და რანაირად, როცა საქართველოში არ არსებობს დოკუმენტური ფილმების სტუდია, რაც უკვე გითხარით, და არც დოკუმენტური ფილმების კინოთეატრი, რომელიც ერთ დროს თბილისში იყო. ისიც უნდა ვთქვა, რომ უწინდელი სტუდიის ხელმძღვანელობა პრობლემებს კი არ წყვეტდა, არამედ ფულის კეთებით იყო გატაცებული. იმავე სტუდიაში, სპეციალური უმაღლესი განათლების სპეციალისტი არ იყო დასაქმებული ერთი ინტელექტუალის – თენგიზ ნოზაძის გარდა, რომელიც 90 წლისაა (დემეტრა დიდხანს აცოცხლოს) და დღესაც ნათელი აზროვნება აქვს. იყო კიდევ ერთი-ორი სამაგალითო ადამიანი, რომლებიც ადრე წაივდნენ.

– მოვლენებზე ფილმების გადაღება, ბატონო გია, ჩვენი დოკუმენტალისტიკის აუცილებელი საქმედ მიიჩნეოდა, საქმედ, რომელიც არ კეთდებოდა. მოვლენებს, რომლებიც დღევანდელ საქართველოს არ აკლია, ტელევიზიები (არც ესენი გვაკლია) აშუქებს. ჩვენაცვლა ტელევიზია დოკუმენტურ კინოს?

– არა. სხვაობა თვალსაჩინოა. მაგალითად, ტელევიზია იტანს ვრცელ ინტერვიუებს, კინოკრანი – ვერა. ტელევიზიას შეუძლია ერთი და იგივე თემა სერიულად გააგრძელოს, ციკლად, დოკუმენტური კინოკრანი ამას გამოირიცხავს...

– ტელევიზია ერთგვარად დოკუმენტალისტიკაც არის, ფაქტობრივი.

– ტელევიზიით მთელი დღის განმავლობაში სასამართლოში, პროკურატურაში, პოლიციის მუშაობაში მომხდარ ფაქტებს გადმოსცემენ, მაგრამ არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი ფილმები, რომლებიც პრობლემას სრულად, ანალიტიკურად წარმოაჩინოს, მაყურებელს მისცემს გონივრულ რჩევას, მიანდის დასკვნას, რათა მან, მაყურებელმა, მსგავს შემთხვევებში არ გაიმეოროს სხვების შეცდომები.

– ჩვენს ყოველდღიურ ტელევიზორზე დასახლებული ფიგურებიდან რომელს გამოყოფთ, როგორც განსაკუთრებულსა და მისაბაძს?

– ვერ ვხედავ, ყოველ შემთხვევაში, არ შემიძნეოდა განსაკუთრებით გამოსაყოფი მოღვაწეები, რომელთა რჩევა-დარიგება, მოვლენების შეფასება მისაღები იქნებოდა ჩვენი მოქალაქეებისთვის. საერთო სურათი ასეთია: ამდენ შემთხვევით ადამიანში ერთი-ორი ჭკვიანი ითქვიფება და მათი ხმა მაყურებელამდე ვერ აღწევს.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ საუბრის, ჭკუის დარიგების, რაგინდ არ უმენტორებულნი და სწორი იყოს, მოსასმენად, აღსაქმელად და გასათვალისწინებლად ხალხის მასა მაინცდამაინც მოტივირებული არ არის. სამწუხაროდ, მხოლოდ შიში არის მისი მამოძრავებელი ძალა. ხალხში გამჯდარი ეს თვისება, ეს თემა კინოსთვისაც ძალიან საინტერესოა, მაგრამ მისი დაძლევა და ეკრანზე გამოტანა განსაკუთრებულ პროფესიონალშია და ვთულებლობას მოითხოვს. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ გარშემო, ყოფით ურთიერთობებშიც კი ძალიან ბევრი ტყუილია. სიცრუის გარემოში გვიხდება ცხოვრება. კაცის სიტყვას ვა-სი დაეკარგა. სიზუსტე, მიცემული სიტყვის გაუტყუებლობა, სიმართლის ერთგულება არის ჩვენში გენეტიკურად არსებული ელემენტები, რომლებიც თანამედროვე კულტურისა და დემოკრატიის სანყისია და საფუძველი.

მაგრამ სიყალბეც არსებობს – ერთის თქმა და მეორის გაკეთება. ასეთი დუალიზმიც არის ჩვენში.

– წლები გადის. იცვლება გარემო, თვალსაზრისი, ურთიერთობები, ფასეულობებიც კი. განსხვავდება თუ არა ახალგაზრდა დოკუმენტალისტი გია ჭუბაბრიას დამოკიდებულება მასტრო გია ჭუბაბრიას პროფესიონალიზმის დამოკიდებულებისგან?

– არ შეიცვლია და ვერც შეიცვლება, რადგან ჩვენი თაობა – გიორგი შენგელაია, სოფიკო ჭიაურელი, მერაბ

„წყურვილი ბაღებს ახალ წყურვილს“

ბრწყინვალე „ალავერდობა“ შექმნა. ამ ფილმს საფუძვლად დაედო *გურამ რჩეულიშვილის* ცნობილი ნაწარმოები „ალავერდობა“.

არის სხვა ნიჭიერი ფილმებიც.

– არ იღებენ საქართველოში დოკუმენტურ ფილმებს?

– იღებენ, როგორც არ იღებენ, თანაც ხშირად უცხოელებთან ერთადაც, მაგრამ ჩვენთვის სრულიად არასაჭირო ფილმებს. არიან ნიჭიერი ბიჭები. მაგალითად, *გელა კანდელაკი*, მაგრამ ამჟამად, სამწუხაროდ, განუდგა ჩვენს დარგს. მშვენიერი სურათი გააკეთა *ნანა ჯანელიძემ* გამოჩენილ ქართველ მსახიობ *კახი კავსაძეზე*, რეჟისორ *თენგიზ აბულაძეზე*, მშვენიერი რეჟისორია *ზურა ინაშვილი*. სხვებიც არიან, მაგრამ არ ჩანს ღრმა და მნიშვნელოვანი, პრობლემური ფილმები. საქართველო, როგორც დოკუმენტალიზმის ბაზა, აუთვისებელია.

– რომ შემოგთავაზონ, როგორ ფილმს გადაიღებდით?

– საქართველოში ბევრი უბედურება მოხდა. საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის *რუდენკოს* ცნობით, რეპრესიების პერიოდში საქართველოში დაიღუპა 250 ათასი ადამიანი, საუკეთესო ნაწილი ჩვენი მოსახლეობის.

განა *ლევან რაზიკაშვილი* არ არის ღირსი ფილმის გადაღების ან *კოტე აფხაზი*?

– თუნდაც ეს თემატიკა ავიღოთ.


ჩვენთან, სამწუხაროდ, ისე ხდება, რომ ჯერ გაანადგურებენ ადამიანს და შემდეგ აღმოჩნდება, რომ იგი გმირი იყო.

ბევრ ისეთ ჩვენს თანამოქალაქეს შეეხვედრივარ, რომლებზეც ფილმის გადაღება გაამდინებდა ჩვენს კინომემკვიდრეობას, გამოაფხიზლებდა საზოგადოებას.

საერთაშორისო თემატიკა – ურთიერთობა რუსეთთან, თუნდაც ამერიკასთან, პრობლემატიკა, რომელსაც დოკუმენტურმა კინომ ზურგი აქცია.

არადა, პრობლემები არის, საკმაოდ რთული და მწვავე.

რუსეთთან დაპირისპირება, ჩემი აზრით, დაუშვებელია. რუსეთი რთული ქვეყანაა. სამჯერ ვიყავი უკიდურეს ჩრდილოეთში – კოლიმაზე, სადაც ბევრი ქართველი დაღუპული, მათ შორის, დათაშკა კავსაძის ცნობილი გუნდის წევრები, გუნდისა, რომელიც ფაშისტების ტყვეობაში მყოფი ქართველების-



ბისას, როცა წყალსაც ადამიანურად არ ასმევდნენ: ეშელონის იშვიათად გაჩერებისას წყალს ვაგონების სახურავებზე ასხამდნენ და პატიმრები იძულებული იყვნენ, იქიდან ჩამონანვებით წყლით მოეკლათ წყურვილი. დეიდაჩემიც, *ლიზიკო ქავთარაძე*, წერს ამაზე თავის მოგონებებში („28 წელი გულაგში“).

გაგა დემეტრაშვილი მიყვებოდა, როგორ ხვრეტდა კოლიმის პატიმართა ბანაკის უფროსი, ვიღაც პოლკოვნიკი გადასახლებულებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი, როგორც ის მიიჩნევდა, იმ დღეს სამუშაოდ განწყობილი არ იყვნენ. შემდეგ „ბლატარები“ აკრეფდნენ მათ ცხედრებს და ერთ საერთო ორმოში ყრიდნენ. საერთოში იმიტომ, რომ ნიადაგის მუდმივი გამყინვარების პირობებში წარმოუდგენელი იყო ყველასთვის ცალკე სამარის გათხრა. თოვლის სქელი ფენა ფარავდა იმ ორმოს ზამთრობით, ზაფხულში კი, ოდნავ რომ დათბებოდა, იმ უბედურთა სხეულის ნაწილები გამოჩნდებოდა – ხელი, ფეხი.

„შეშინებებს“ ეძახდნენ.

– იქით ნუ წახვალთ, იქ „შეშინებებს“ აფრთხილებდნენ ახალჩასულებს. ამაზეც შეიძლება ფილმის გადაღება. საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებაზეც, რომელსაც მხოლოდ მაშინ მივალწევთ, როცა სამისოდ პროვ-

(*ბატონ გიას მიანი, რომ ასეთი პრობლემების პირუთენელი გამოტანა ეკრანზე გაკვალავს გზას ნამდვილი დემოკრატიისკენ. მით უფრო, რომ ქართული თვითმყოფადობის დამადასტურებელი რეალობა, რომლის შესახებაც მოგვითხრობს მისი ფილმები, ის საფუძველთა-საფუძველი და ნოყიერი ნიადაგია, რომელშიც კაცთმოყვარეობის უნიკალურ ტრადიციებს ღრმად აქვს ფესვები გადგმული და ბევრისთვის მისაბაძი რჩება. შეფასებენ თუ შეზის მისივე დახასიათებას – ლორდები არიანო!*)

ჩემთვის უსაყვარლესია საქართველოს ყველა კუთხე. ამ თაიგულში წოვათუშები ასე დავახასიათე, რაც არც ერთ დანარჩენს არ აკნინებს არავითარ შემთხვევაში.

მიმანი, რომ კარგ ქართველზე უკეთესი არავინ არის. და არ ჩამითვალთ ეს ეროვნული განსაკუთრებულობის გამოვლენად. შოვინიზმი, ნაციონალიზმი ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, რაც აშკარად ჩანს ჩემს არაერთ ფილმში, რომლებიც რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში, იაპონიაში, პოლანდიაში, ისრაელში თუ სხვაგან და სხვაგან მაქვს გადაღებული.

მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ იდეალური ადამიანი ძალიან ცოტაა.

– დღევანდელ საქართველოში გეგულეობა?

– მეგულეობა, რასაკვირველია. მაგა-

კოკოჩაშვილი, ბორის ანდრონიკაშვილი – შემოქმედებით ადამიანებად ჩამოვყალიბდით მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში, სახელგანთქმული „გვიკში“, ასეთი ბრწყინვალე უმაღლესი სასწავლებელი არც იყო და არც არის. საქართველოში დღეს კინოსა და თეატრის იმდენი რეჟისორია, რამდენიც ამერიკაში არ ჰყავთ. მაგრამ დონეს ნუ იკითხავთ!

– ე.ი, რაოდენობა ხარისხში არ გადადის? – ასეა. სამწუხაროა, რომ დოკუმენტალისტიკის სპეციფიკური ხელწერა ჩვენმა ახალგაზრდა რეჟისორებმა ნაკლებად იციან. ჩემს სტუდენტებს შორის რამდენიმე ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ვერ მუშაობენ, ხელს არ უწყობენ. ხოლო სამუშაო პრაქტიკის გარეშე ასეთი ხელწერა ვერავის ჩამოუყალიბდება.

მაგრამ არც თეორიაში გვაქვს საქმე აწყობილი. მე, მაგალითად, დავწერე კინოფილმისა და ვიდეოხელოვნების პირველი ხუთენოვანი ენციკლოპედიური ლექსიკონი. კაციშვილს ხელი არ შეუწყვია. არადა, წერის პროცესის ნორმალურად წასამართავად და, რაც მთავარია, წიგნის გამოსაცემად, მატერიალური სახსრებია საჭირო. მაგრამ, მაღლობა ღმერთს, რომ საქართველოში კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც მზად არიან, კარგ საქმეს უნდაგროდ ემსახურონ. მაღლობელი ვარ ქალბატონი შუქია აფრიდონიძის, რომელიც ქართული სინტაქსის გამართვაში დაიმუშაა, აგრეთვე, ჩემი ნასტუდენტარების – გიორგი ხარებავასა და ნოშრევან ჩხაიძის, რომელიც ჩემი ინსტიტუტის დირექტორი იყო და სამ თვეში გააგდეს, ახლა ინგლისის ერთ-ერთი უნივერსიტეტის მაგისტრია.

ამ წარმომის მიზანი ქართული კინოტერმინების დამკვიდრებაა.

– არის საქართველოში რწმენის, იდეალის ერთგულების შესახებ ბოლო პერიოდში გადაღებული ფილმები?

– ჩვენები არც ასეთ ფილმებს იღებენ და არც ტელეგადაცემებს.

– აი, რუსეთში კი სწორედ ასეთ თემატიკაზე აკეთებენ აქცენტს...

– რუსეთი რთული ქვეყანაა. მე რუსეთში მადლობის მეტს ვერაფერს ვიტყვი. დიდი კულტურის ქვეყანაა. აგრესიულიცაა, არაფრის დამთმობი. მთელ მსოფლიოში ერიდებიან. ჩვენი კარის მეზობელი და უძლიერესი სახელმწიფოა. ამის გაუთვალისწინებლობა დაუშვებელია, მაგრამ არა ჩვენი ინტერესების დათმობის ხარჯზე.

არც ამერიკას უნდა ვკრათ ხელი. კარგი, დადებითი, მონივნავე, რაც როდღე ამ ქვეყანას გააჩნია, წამოვიღოთ და გამოვიყენოთ.

რუსი ხალხებით თბილი და უბრალო ურთიერთობაში იშვიათობაა. მთელი ციმბირი, კოლიმა მოვიარე და სიკეთისა და სიყვარულის მეტი იქიდან სხვა არაფერი ჩამომიტანია.

– გარდა იქ გადაღებული შესანიშნავი ფილმებისა.

– იძულებული ვარ, დაგეთანხმოთ.

– დღევანდელ საქართველოში არსებულ მდგომარეობის შეფასებისას არაერთხელ გამოიყენეთ სიტყვა „სამწუხაროდ“. მინდა, გკითხოთ, მომავლისკენ მიმავალი ჩვენი გზა აუცილებლად ნატოსა და ევროკავშირზე გაივლის? „სამწუხაროდ“ „სასიხარულოთ“ შეიცვლება?

– რთული საკითხია. ახალი არ იქნება, თუ გეტყვით, რომ ეს რუსეთის გაღიზიანებას გამოიწვევს. არადა, ყველა ქვეყანას ცდილობს, თავი აარიდოს რუსეთთან კონფლიქტურ ურთიერთობას. აი, ამას ვერიდები. რუსეთის პოლიტი-

კა არ არის ისეთი რბილი, როგორც რუსი ხალხი გამოირჩევა.

– სახელმწიფო – მტკიცე და თანაც „ფუმფულა და თბილი“ ეს ცნებები მინც-დამინც არ თავსდება ერთმანეთთან.

– ესეც სიმართლეა, ამიტომ გვმართებს სიფხიზლე, მკვეთრი ნაბიჯების გადადგმისგან თავის შეკავება, მაგრამ ეს უკვე პოლიტიკოსების საქმეა.

– გამბედაობა, რისკი, რომლითაც ახალგაზრდობაში გამოირჩეოდით, მიწვდით თანდათან? ოსტის ზღვაში შტორმისას ისევე მზად ხართ გემის ანძაზე ასასვლელად და უზარმაზარი ტალღების გადასაღებად?

– ახლა თბილ საგარეოში რომ ვზოვარ და გესაუბრებით, ასე მგონია, რომ ვარ ამის გამკეთებელი (ვიცინით). თავის დროზე რომ ვრისკავდი, შიში არ მქონია და არც მეგონა, რომ რაიმე განსაკუთრებულს ვაკეთებდი.

ნამდვილი შიში ერთხელ განვიცადე, ეს მოხდა მაშინ, როცა უშგულში ჯიხვებზე ნადირობის გადაღებას ვაპირებდით, ზეგასაშიში პერიოდი იყო და ხელი მოგვეცარა. ხევი, სტრეფანშიდაში გადმოვვით შალვა ქირიკაშვილთან ერთად და მისი მეგზურობით ყუროზე ავედით. საღამოს 7 საათზე დავიძარით და მხოლოდ დილის 4 საათზე მივაღწიეთ დანიშნულ ადგილამდე.

შალვამ მე და ჩემი ასისტენტი – კობა ვანიძე (ნათელი დაადგეს მის სსოვნას) უფსკრულის პირას დაგვაცენა – თქვენ აქ იდევით, მე ჯიხვებს მოვრეკავ და გადაიღებთ. ვდგავართ. ან სად ვიყავით წამსვლელი?! ნამოვიდა თოვლი, ყინვამ მოუჭირა. ამოვარდა ქარი. ერთი ნაბიჯი მარჯვნივ თუ მარცხნივ და უფსკრულში ჩაიჩხვებო. თავშესაფარი არსადაა. აი, მაშინ მართლა შემეშინდა. ხელი ამიკანკალდა. აკანკალებული ხელით გადაღებული კადრი წუნია. ათასი უბედურება დაგიდგება ამ დროს თვალწინ, მაგრამ, როცა დაგინახეთ შალვას გადმოჩეკილი ჯიხვები, უნიკალური კადრების გადაღების საშუალება რომ გვეძლეოდა, შიში სადღაც გაქრა. ჩვენ ჩვენი საქმე შევასრულეთ, შალვამ – თავისი: „ჯიხვსა თოვ დაგვარ, ბეხრენსა, ჭალას ჯახს იქნენ რქისანი“. მოკლა ჯიხვი და, როცა სიკვდილთან მეტროძო ამ ცხოველს თვალებიდან ცრემლი ჩამოუგორდა, ეს უნიკალური კადრიც გადავიღეთ ფირზე.

– დღეს რის გადაღებას ფიქრობთ?

– სია მაქვს ჩამოწერილი ჩვენი შესანიშნავი მამულიშვილების. მათი პორტრეტების გადაღებას ვაპირებ. ადამიანები, მათი შინაგანი სამყარო მაინტერესებს უფრო მეტად. საჯაროდ წარმოჩენა, ახალგაზრდობისთვის მათი ჩვენება დღეს საშური საქმეა, რადგან ერი დაცვა. თორმეტბაღიანი შტორმის გადაღება ადარ მაინტერესებს, თუმცა გავრისკავდი. ქართველი კაცის დიდბუნოვნება მინდა წინა პლანზე გამოვიტანო. სხვა თემებიც არის.

– მოგასწრებთ?..

– რა თქმა უნდა, მაგრამ ამ საქმისთვის თავის მოსამეღად დიდი თანხაა საჭირო.

მე ახლა სიკვდილის კარიბჭესთან ვდგავარ. 80 წელიწადი ცოტა არ არის. მაგრამ ვსუმრობ, რომ 90 წლის იუბილისთვის ვემზადები. მინდა, იმ დროს მანც ვნახო საქართველო ისეთი, როგორზეც ჩემი მშობლები ოცნებობდნენ; მინდა, რომ საქართველოში იყვნენ ისეთი მაღალი ზნეობის ადამიანები. მინდა, ალდგეს ის საოცარი კეთილშობილება, რომელიც ქართველებს ყოველთვის გამოარჩევდა; მინდა, რომ მომხვეჭელობაზე კვლავ აღზევებულიყოს გაცემის უნარი.

ესაუბრა პრამზ სანებლიძე

P.S. დოკუმენტური კადრის ფასი მის „ხორკლსა და სინედლეშია“, მის პირვანდელ შეურყენელობაში. დოკუმენტალისტიკის მთავარი ღირებულება ესაა. ხელოვანის მიერ აღქმული და გადმოცემული სინამდვილე კი ოსტატი იუველირის მიერ დანახანგებული ალმასის გამობრწყინებაა.

ამას იქმს დიდოსტატი გია ჭუბაბრია. მისი დოკუმენტალისტიკა შუქ-ჩრდილების ბუნებრივ არსებობაზეა აგებული. მისი ფილმები დიალოგია ბუნებრივ ყოფასთან, რეალობასთან, რომლის ურთიერთდაპირისპირებული შემადგენლები – შავი და თეთრი, სიკეთე და ბოროტება, სიცოცხლე და სიყვარული და ა.შ., ერთიან სტიქიად არის წარმოდგენილი. მთავარი გმირი ამ სტიქიას შეეცილებული ადამიანია.

„წყურვილი ზადებს ახალ წყურვილს“ (მიქელანჯელო ბუონაროტი) – იგია შემოქმედი ადამიანის მამოძრავებელი მუსტისა და შთაგონების წყაროც იგია.

წყურვილი ახლის შექმნის კვლავაც „ანუხებს“ ბატონ გია ჭუბაბრიას.

ა.ს.

პიროვნება

კლავს პრემიულად დას მოსახლეობის პროფესიული ჯანმრთელობის დასვის სადარჯოზი

ეპიმი პროფათოლოგი მზია წარეთელი - 90

შრომის მედიცინის თვალსაჩინო მოღვაწეს, მეცნიერს, ექიმ-პროფათოლოგს, ქალბატონ მზია წარეთელს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.



ქალბატონი მზია დაიბადა ექიმის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის თამარ აბაშიძისა და ცნობილი იურისტის, პროფესორ ნიკოლოზ წარეთელის ოჯახში, სადაც ეზიარა სამშობლოს და მოყვასის სიყვარულს, გულისხმიერებას, სამშობლოს უანგარო მსახურებას.

1949 წლიდან – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ქალბატონი მზია მუშაობდა რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ექიმ-ორდინატორად, ხოლო 1956 წლიდან დღემდე ნ. მახვილაძის შრომის პათოლოგიისა და პროფდაავადებათა ს/კ ინსტიტუტშია, სადაც განვლო გზა მეცნიერთანამშრომლიდან ამავე ინსტიტუტის პროფესიულ დაავადებათა განყოფილების ხელმძღვანელამდე. სხვადასხვა პერიოდში იყო ნ. მახვილაძის შრომის მედიცინის და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის გენერალური დირექტორის მოადგილე და სამედიცინო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ქალბატონი მზია გამოცდილი ექიმ-პროფათოლოგი და კვალიფიციური სპეციალისტია. იგი დიდი ენერგიით და პასუხისმგებლობის გრძობით ემსახურება ქვეყნის დასაქმებული მოსახლეობის პროფესიული ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

ფართოა ქალბატონი მზიას სამეცნიერო ინტერესების სფერო. იგი არის 160-ზე მეტი სტატიის, მეთოდური მითითებებისა და სახელმძღვანელოს ავტორი. უაღრესად საინტერესოა მტვრისმიერი პროფესიული პათოლოგიის პრობლემის შესწავლისადმი მიძღვნილი მისი შრომები. მან პირველმა გამოავლინა და აღწერა თამბაქოს მტვრის გავლენა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე; დაადგინა, რომ თამბაქოს მტვერი გულის კუნთსა და კორონარულ სისხლძარღვებში პათოლოგიურ ცვლილებებს იწვევს. მნიშვნელოვანი წილი შეიტანა სამხარეო პროფესიული პათოლოგიის – მანგანუმის მიერი დაავადებების დიაგნოსტიკასა და პრევენციის პრინციპების დამუშავება-

ში. მის მიერ დადგენილია მანგანუმის აეროზოლებითა და სანარმოო ვიბრაციით გამოწვეული გულ-სისხლძარღვთა სისტემის სპეციფიკური და არასპეციფიკური ეფექტები. წლების მანძილზე ქალბატონი მზია მუშაობდა პროფესიულ დაავადებათა დამდგენი რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარედ.

ქალბატონ მზიას დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდა მედიკოსთა აღზრდასა და პროფესიულ ჩამოყალიბებაში. იგი წლების განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში იუნესკოს ეგიდით შექმნილი ჯანსაღი ცხოვრების წესის კათედრის პროფესორი; მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტის პროფესიულ დაავადებათა განყოფილების ბაზაზე ექიმი-პროფათოლოგების მრავალი თაობა გაიზარდა.

ქალბატონი მზიას მრავალმხრივი პროფესიული საქმიანობა ღირსეულ ასახვას პოულობს მის რეგალიებში: იგი არის საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, იმუნოლოგიისა და ალერგოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი.

ქალბატონი მზიას ვუსურვებთ ხანგრძლივ ნაყოფიერ და ბედნიერ ცხოვრებას. იმედი გვაქვს, იგი კვლავაც აქტიურ როლს შეასრულებს პროფილაქტიკური მედიცინის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან საქმეში.

ნ. მახვილაძის შრომის მედიცინის და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; საპარტოვალს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია.

საატესტატო გამოცდაში 11 000 მოსწავლე ჩაიჭრა

საბტესტატო გამოცდების ზღვარი დაახლოებით, 11 000-მა მოსწავლემ ვერ გადალახა, – განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ.

მინისტრის განცხადებით, შედეგები პრაქტიკულად ისეთივეა, როგორც გასულ წლებში იყო.



„დაახლოებით, 11 000 მოსწავლეა, რომლებმაც ვერ გადალახეს საატესტატო გამოცდების ზღვარი. ტექნიკური საგნები ცოტა უფრო მეტად უჭირო, ვიდრე ჰუმანიტარული. პერიოდულად ისმის ჩივილი, რომ გამოცდის შინაარსი პროგრამას არ ემთხვეოდა, რაც ასე არ არის. ხშირ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მოსწავლეს შეიძლება ასეთი მაგალითი არ გაუკეთებია.“

კომპიუტერით ადაპტირებული გამოცდა იმას გულისხმობს, რომ ზუსტად სტანდარტული ამოცანებით კი არ მიდის პროცესი, არამედ ვამონუმბო, რამდენად შეუძლიათ ცოდნის გამოყენება, ანუ რამდენად რეალურად შეუძლია ამოხსნას მაგალითები, მაგალითად, მათემატიკაში, ან სხვა საგნებში“, – განაცხადა ჯეჯელავამ.

ბიზნესის სამყაროს ერთ-ერთი მთავარი კანონზომიერება შესაძლებელია ამგვარად ჩამოვყალიბოთ – ყველა წარმატებული ბიზნესი წარმატებას აღწევს საკუთარი, ინდივიდუალური გზით, ხოლო კომპანიის წარმატებლობა და, საბოლოო ანგარიშით, გაკოტრება უკავშირდება ერთადერთ ძირითად მიზეზს – არასწორ მენეჯმენტს.

როდესაც ბიზნესის გაკოტრების მიზეზებს გადავხედავთ, აღმოჩნდება რომ გაკოტრებული კომპანიები ბიზნესის მართვის პროცესში ფაქტობრივად უგულვებელყოფდნენ მენეჯმენტის თეორიაში კარგად ცნობილ, პრაქტიკულად გამოცდილ პრინციპებს. მსგავსი პრობლემები ახასიათებს საქართველოში თითქმის ყველა წარუმატებელ კომპანიას, როგორც ახალბედებს, ისე საქმიანობის საკმაოდ სტაჟის მქონე გამოცდილ კომპანიებსაც. თუმცა, ძირითადად ეს პრობლემა ენება ახალგაზრდა და დამწყებ ბიზნესმენებს,



რომ თეორიული თვალსაზრისით მენეჯმენტის თეორიაში ყველაფერი ცნობილია, საჭიროა მხოლოდ ამ დაგროვილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

აქ არ განვიხილავთ მსხვილი კომპანიებისთვის აუცილებელად გასათვალისწინებელ მოთხოვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია მენეჯმენტის თანამედროვე პრინციპების თუნდაც სტანდარტულ სასწავლო კურსებში. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირად მრავალი წარმატებული კომპანიაც კი არ ასორციელებს ბიზნესის მართვას აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ, მათი წარმატება არ არის ისეთი თვალსაჩინო, როგორც შეიძლება ყოფილიყო და მათი მდგომარეობაც მუდამ გაკოტრების საფრთხის წინაშე დგას.

შემოვიფარავლებით რამდენიმე რჩევით, ერთგვარი ბიზნეს-რეკომენდაციებით, რომლის გათვალისწინება დამწყები ბიზნესმენებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ეს უმარტივესი ბიზნეს-რეკომენდაციებია: **კარგად უნდა იცნობდე იმ საქმეს, რის დაწყებასაც აპირებ.** ამისათვის უნდა გქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული უპირატესობები და სხვ. ჩვენი შემთხვევისთვის კი უმნიშვნელოვანესია ერთ-ერთი საყოველთაოდ გამოცდილი ბიზნეს აქსიომა: **ბიზნესის მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს არსებულ საკუთარ კაპიტალს.** როდესაც ბიზნესმენი იწყებს რაიმე საქმეს, მას არასდროს არ ყოფნის კაპიტალი. თუ ბიზნესი, რომელიდანაც დიდი მოგებაა მოსალოდნელი, მოითხოვს დამატებით თანხებს, იდეის პატრონს კი საჭირო თანხა არ აქვს, ჯობს, მან გაყიდოს ბიზნესის ნაწილი, იპოვოს პარტნიორი და მას გაუნაწილოს შესაძლო მოგება, ვიდრე ისეხოს ბანკსთან (ან, მით უმეტეს, კერძო იპოთეკარისგან) საჭირო თანხა უკანასკნელი საცხოვრებლის გარანტიით. თუ ბიზნესმენი ვერ პოულობს ასეთ პარტნიორს, მაშასადამე, მან ვერაფერს დაარწმუნა საქმის მომგებიანობაში და ასეთი ბიზნესის დაწყება არ ღირს. იმ შემთხვევაში, თუ საქმე არ გამოვიდა, დაიკარგება ბიზნესმენის საკუთარი თანხა, მაგრამ ამით ცხოვრება არ მთავრდება, დარჩენილი ქონებით შესაძლებელია საქმიანობის გაგრძელება. მაგრამ თუ დაიკარგა ნასესხი კაპიტალი, მაშინ საქმე ძალიან რთულდება – სესხი დასაფარა, მისი ოდენობა დაუნდობლად და ზვავისებურად იზრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად და ახალბედა ბიზნესმენი საბოლოოდ ნადგურდება მსგავსად ზემოთ განხილული შემთხვევებისა.

რა თქმა უნდა, არსებობს წარმატებული სესხის მაგალითები, მაგრამ ეს ეხება სწორად დასაბუთებულ, გაანგარიშებულ და, რაც მთავარია, არსებულ წარმატებულ ბიზნესს და, არა მცირე ბიზნესისა თუ ინდემნარმის სტარტაპს.

გიორგი ბალათურია,
საქართველოს გექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

პარასკევი ჩამოყალიბება

საზომბადოდ ბიზნესის დაწყება ძალიან რთულია და როგორც გამოკვლევები აჩვენებს, ბიზნესის დაწყების „სტარტაპების (start-up)“ დიდი უმეტესობა, დაახლოებით 70-75% წარუმატებელია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საქართველოს შემთხვევაში ეს ვითარება კიდევ უფრო დამძიმებულია, რასაც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, დამწყები ბიზნესმენების ბიზნესისადმი ერთგვარი ქარაფშუტული დამოკიდებულება, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგიერთი ბიზნეს-კონსალტინგის მესვეურთა სხამაღალი, „ბიზნეს-მითების“ თითქოსდა უარყოფითი მცდარი რეკომენდაციები. მაგალითად, „ახალ ბიზნესს ვერ დაიწყებ ვალით – არასწორია, დღეს არსებული წარმატებული ბევრი ბიზნესი დაიწყო ვალით, თუ გაქვს კარგი იდეა, საკუთარი კაპიტალის არქონის გამო მასზე უარი არ თქვა“.

აქ წინა პლანზე გამოდის, რომ ვალის აღება შესაძლებელია „კარგი იდეის“ შემთხვევაში, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ამ ვალის გადახდა, კადრს მიღმა რჩება. ამიტომ იღებენ ვალებს, „კარგი იდეა“ არ ყოფილა ბოლომდე გააზრებული, საქმე არ გამოვიდა, ვალი კი გადასახდელი რჩება.

ან სხვა რეკომენდაცია: **ბიზნესში წარმატებისთვის უნდა იყო როგორც ბავშვი, რაც აგრეთვე ილუსტრირებულია ენ „სულელი მეზღვაურის“** მაგალითით, რომელიც მუდმივად წინ მიისწრაფვის და ვერ ამჩნევს ტალღებს, წვიმას, ზღვას და ა.შ. ხოლო ჭკვიანი მეზღვაური ხედავს და ეშინია. საბოლოოდ სულელი მეზღვაური „მივა უცნობ პორტში და მაშინ იტყვიან, რომ ის იყო ჭკვიანი“. ცხადია, ზოგადი მოწოდება – რომ უნდა იყო სიახლის მაძიებელი, ენტიერპრენული სულისკვეთებით – სწორია, მაგრამ

დაიწყებ ბიზნესს ბრივილიური პრობლემები

რა ხდება რეალურ ბიზნესში? სწორედ იმიტომ, რომ „ვერ ამჩნევს (ბიზნესის) ტალღებს, წვიმას, ზღვას“ ასი ათასობით მეზღვაური (დამწყები ბიზნესმენი) იღუპება, ერთი კი შეიძლება გადაარჩეს და ის შესაძლოა, მილიარდერიც გახდეს, მაგრამ რა ქნას დაღუპული ათასობით „მეზღვაურის“ ოჯახმა, რომელმაც ამ ავანტიურით ყველაფერი დაკარგა?

იპოთეკური სესხები სტარტაპისთვის

ძართულ სტარტაპთან დაკავშირებით სქემა მარტივია. ახალგაზრდები გადაწყვიტენ „დაიწყონ ბიზნესი და გააკეთონ ფული“. **რაც უნდა პარადოქსალურად უღერდეს, ამ დროს, როგორც წესი, ეს ადამიანები თავს არ იწუხებენ სათანადო გაანგარიშებით, არც ბიზნეს-გეგმას, არც არანაშვებიანობის ანალიზს მიიღებ, არც რისკების გაანგარიშებას, მარკეტინგული კვლევა, ფინანსური ანალიზი და ა.შ. რაც ყველაზე უარესია, ასეთ დამწყებ ბიზნესმენებს არც ფული აქვთ და სესხის იმედით არიან, ხოლო სესხის უზრუნველსაყოფად იყენებენ მათ საკუთარ ბიზნესში არსებულ უძრავ ქონებას, ძირითადად საკუთარ საცხოვრებელ ბინებს (რაკილა სხვა ქონება არ აქვთ). უმეტეს შემთხვევაში, ასეთი ბიზნესი კრახით მთავრდება (სხვადასხვა მიზეზების გამო), ადამიანები კარგავენ უკანასკნელ ქონებას, ვალების გადაუხდელობის გამო მათ ასახლებენ ბინებიდან და**

ისინი ბედის ანაბრად რჩებიან.

დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი უმწვავესი სოციალური პრობლემა სწორედ მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ საცხოვრებელი ბინების დაკარგვა გახლავთ. იპოთეკართა მიმართ მოვალეობა დავალიანებამ 250 მილიონ ლარს მიაღწია. დაახლოებით 74 ათასი ოჯახი კერძო საკუთრების დაკარგვის პირას უკვე დგას.

კიდევ უფრო მეტმა ოჯახმა წინა წლებში დაკარგა საკუთრება. **აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემებით, 2012 წელს ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა 111 გამოსახლება; აუქციონის წესით გაიყიდა 718 საცხოვრებელი ბინა, ასევე აუქციონის წესით გასხვისდა 961 მიწის ნაკვეთი, მასზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობებით.** ამის მიზეზი კი ხშირ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებული სასესხო ხელშეკრულებაა. ახლა ეს დაზარალებული ხალხი დახმარებას ხელისუფლებას სთხოვს. ასეთი მძიმე ვითარება კვლავაც გაგრძელდება, თუ ბიზნესის დაწყების ან გაფართოების მსურველები ბიზნესის ელემენტარულ წესებს არ გაითვალისწინებენ.

მენეჯმენტის ელემენტარული ნუსები სტარტაპისთვის

რა არის ბიზნესის მართვის ის წესები, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმატების მიღწევა? უნდა აღინიშნოს,

„ქართული ზეთისხილის“ ზეთი უკვე გაყიდვაშია

„ძართული ზეთისხილი“ უკვე გაყიდვაშია და მისი შექმნა დღეიდან Carrefour-ის ქსელშია შესაძლებელი.

ზეთისხილის საწარმო სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში მდებარეობს, რომელიც პოლანდიურ-თურქული ინვესტიციით გაიხსნა და წარმოებული პროდუქცია უკვე საცალო ქსელშიც გაეშვა.

პროექტი, რომლის საერთო საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 5 მილიონი ლარია, ბიზნესმენმა გიორგი სვანიძემ განახორციელა.

გიორგი სვანიძის განმარტებით, „ქართული ზეთისხილი“ ქსელში 250-გრამიანი, 500-გრამიანი და 1 კგ-იანი შეფუთვითაა წარმოდგენილი.

როგორც ბიზნესმენი აცხადებს, ზეთისხილის შეტანაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს ასევე „აგროპრობთან“. რაც შეეხება ექსპორტს, როგორც გიორგი სვანიძე განმარტავს, ამ მხრივ მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. საწარმომ პირველ ეტაპზე 30 ტონა ზეთისხილი გადაამუშავა.

ზეთისხილის საწარმო ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი, რაც უმაღლესი ხარისხის კონკურენტუნარიანი ქართული პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა.

საწარმოში საომავლოდ დაგეგმილია ნიჟნის,

ბრონეულისა და ატმის კურკის ზეთის წარმოების დაწყებასაც.

ქარხნის წარმადობა სეზონზე რამდენიმე ასეული ტონა (საათში 10 ტონა) ზეთისხილის მარინადისა და



ექსტრა ვირჯინის უმაღლესი ხარისხის ზეთის წარმოების შესაძლებლობას ქმნის. აქ წარმოებული ქართული ზეთისხილის პროდუქცია განკუთვნილია როგორც ადგილობრივი ბაზრისთვის, ასევე საექსპორტოდ. კომპანიის უახლოესი ამოცანაა პროდუქცია ამიერკავკასიის ქვეყნებში, ამერიკაში, ევროპასა და დსთ-ს სივრცეში გაიტანოს.

ქართული ზეთისხილის კულტურის აღორძინებაზე ზრუნვა 7 წლის წინათ, მისი უწმინდესობის, პატრიარქის და ქართული დიასპორის თანადგომით დაიწყო. ამ უნიკალურ პროექტში კომპანიებმა „ქართული ზეთისხილი“ და „ჯეო ოლივი“ რამდენიმე მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა, რის შედეგადაც 300 ჰექტარზე ზეთისხილის პლანტაცია (250 ათასი ზეთისხილის ნერგი) გაშენდა.

ბიზნესგეგმს, რომელსაც საქართველოში გიორგი სვანიძე ხელმძღვანელობს, ქვეყანაში უკვე განხორციელებული აქვს ინვესტიცია უძრავი ქონების, სამშენებლო, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროებში. ჯგუფის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი თანხა 18 მილიონი ლარია. ჯგუფს დასაქმებული ჰყავს 800 ადამიანი.

„პარტიული მედიკოსების კვლევებს შეუძლიათ, მსოფლიო მედიცინას უდიდესი სარგებლობა მოუტანონ“

პენიცილინის შექმნამდე ოცი წლით ადრე, მათ უკვე ჰქონდათ გავრცელებული სასიკვდილო დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატები

ბერმანული გამოცემა „Frankfurter Allgemeine Zeitung“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიის მიხედვით, მედიკოსების ვირუსოლოგია-ბაქტერიოლოგიის ინსტიტუტის შექმნის ისტორია, მისი საქმიანობა საბჭოთა პერიოდში და თანამედროვე ეპოქაში: ინსტიტუტის მიღწევები და ამოცანები, ქართველ მედიკოსთა კვლევების მნიშვნელობა და როლი მსოფლიო მედიცინისათვის (ავტორი - სებასტიან ფრანცი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ გადაცემის ვრცელი სტატიის მოკლე შინაარსი:

გიორგი ელიაშვილის სახელობის თბილისის ბაქტერიოფაგების ინსტიტუტის შექმნა, თავისი საბჭოთა კლასიკური არქიტექტურის ფასადით აშკარად გამოირჩევა სხვა ირგვლივ არსებული ნაგებობებისაგან. შენობაში შესვლისას ერთგვარი სიცივე იგრძნობა, აქ 1990-იან წლებამდე დიდი პანო იყო მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის პორტრეტებით, რომლებიც მკაცრად იმზირებოდნენ. სლავური კირილიცით დაწერილი ტექსტები საბჭოთა ეპოქას მოგვაგონებს, როცა ინსტიტუტი მოსკოვისაგან დიდ ფულს იღებდა სამედიცინო კვლევების

სათვის... თუმცა თუ ვინმეს ჰგონია, რომ ინსტიტუტში დრო გაჩერდა, ძალიან სცდება: აქ, ამ შენობაში ვირუსთა უნიკალური ბანკი ინახება, თითქმის 100 წლის ისტორიის მქონე მიკროორგანიზმები, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომი და საბჭოთა კავშირის დაშლა გადაიტანეს და რომლებიც მომსწრენი არიან საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლებისა, როცა ინსტიტუტს ელექტროენერგია არ მიენიჭებოდა და ხშირად არც ავარიული გენერატორიც მუშაობდა. მათ გაუძლეს პოლიტიკური სისტემის შეცვლას... დღეს კი ქართველი მედიკოსების ოთხი თაობის კვლევის შედეგებს შეუძლიათ უდიდესი სარგებლობა მოუტანონ როგორც სამშობლოს, ასევე მსოფლიო მედიცინას მომავალში.

1921 წელს, როცა ახალგაზრდა ქართველი მიკრობიოლოგი გიორგი ელიაშვილი პარიზიდან სამშობლოში დაბრუნდა, მან თბილისში მიკროსკოპული, მაგრამ მნიშვნელობით უდიდესი რამ ჩამოიტანა - ბაქტერიოფაგები. მცირე ხნის შემდეგ კი, პენიცილინის შექმნამდე ოცი წლით ადრე, საქართველოში უკვე ჰქონდათ ბერი სასიკვდილო დაავადების ფილტვების ანთების, სისხლის მონამულის და ციმბირის წყლულის წინააღ-



მდეგ მოქმედი საშუალებები. ყველაფერი კი ფაგების დამსახურება იყო. საბჭოთა პერიოდში ბაქტერიოლოგიამ და ვირუსოლოგიამ თავის აყვავებას მიაღწია, რაც მოსახლეობისათვის სასიკვდილოდ მოქმედებდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო ლაზარეტებში პენიცილინსაც იყენებდნენ, მაგრამ რადგანაც ეს პრეპარატი ძირითადად უცხოეთიდან შემოდიოდა, ბაქტერიოლოგიური ინფექციების მკურნალობის დროს უმეტესად მაინც ფაგებს იყენებდნენ. მათი უპირატესობა ისიცაა, რომ როცა სტანდარტულ ნამალს შედეგი არ მოაქვს, მაშინ საქმეში ფაგები ერევიან.


რასაკვირველია, ბაქტერიოფაგებზე მუშაობას და საერთოდ, ვირუსების კვლევას დიდი დრო და სახსრები ღირდა. პრობლემები გაჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მაგრამ ინსტიტუტი გადაარჩა. მას დღეს მსოფლიოს პროფილურ დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირები აქვს და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს.

„მე ამ დარგის პიონერის შვილი ვარ“, - ამბობს პროფესორი იგა გიორგაძე,

77 წლის ქალბატონი, ცნობილი ქართველი ვირუსოლოგი. იგი მამის, ირაკლი გიორგაძის კვალს გაჰყვება, რომელიც დიდი გიორგი ელიაშვილის მოსწავლე იყო და 1959 წლამდე ინსტიტუტის ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა. იგა გიორგაძე დღეს ინსტიტუტის დირექტორია და თავისი საქმიანობიდან მრავალ შემთხვევას იხსენებს: „დასავლეთში ჩვენი კვლევის შედეგებს დიდი ხნის განმავლობაში ამოწმებენ, მათი ეფექტურობის დადასტურების მიზნით, ეს გასაგებია, მაგრამ როცა პაციენტს სასწრაფო მკურნალობა ჭირდება, მაშინ ძვირად ღირებულ ექსპერიმენტებზე დრო აღარ რჩება. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ჩვენი მკურნალობის ეფექტურობაში. ამას წინათ გერმანიიდან სამკურნალოდ ერთი კაცი ჩამოვიყვანეთ, მუცელში მიყენებული ჭრილობით. ჰაიდელბერგში მისთვის მთელი კუნთოვანი ქსოვილის ამოჭრა უნდოდათ, მაგრამ მე ვუთხარი, რომ ამ კაცს ჩვენ ვუმკურნალებთ-მეთქი. გერმანელებმა არ დაიჯერეს, მაგრამ როცა ორი კვირის შემდეგ იგი საღ-სალამათი დავაბრუნეთ, ჩვენი გერმანელი კოლეგები გაკვირვებისაგან კინაღამ წაიქცნენ“.

ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში პარტიული მედიკოსების რაოდენობა გაიზარდა, კათოლიკეთს რაოდენობა კი შემცირდა

„აშშ-ის კვლევითი ორგანიზაციამ Pew Research Center-მა გამოქვეყნა მასშტაბური გამოკვლევის - სოციოლოგიური გამოკითხვის ანგარიში 18 პოსტსაბჭოთა ქვეყანაში რელიგიური იდენტურობის თაობაზე. როგორც ირკვევა, ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში გაიზარდა იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც საკუთარ თავს მართლმადიდებლებად თვლიან, ხოლო კათოლიკეთა რაოდენობა შემცირდა. უპირატესად მართლმადიდებლებით დასახლებულ ქვეყნებში გამოვლინდა კონსერვატიული შეხედულებები ქალის როლზე ოჯახში, სექსუალური უმცირესობების მიმართ. გამოკითხვები მხარს უჭერენ ეკლესიის მიმართ სახელმწიფოს დახმარებას. გარდა ამისა, თვლიან, რომ „რუსეთი ვალდებულია დაიცავს მართლმადიდებელი ქრისტიანები“, - ნათქვამია სტატიაში (ავტორები - ალექსანდრ ჩერნიხი და ანასტასია მანუილოვა)



რომ ღმერთი არსებობს: 99% - საქართველოში, 95% - სომხეთში, მოლდოვასა და რუმინეთში, 94% - ბოსნიაში. რუსეთში მართლმადიდებელ მორწმუნეთა რაოდენობა 75%-ს აღწევს. საკუთარ თავს ქრისტიან-მართლმადიდებლად მიიჩნევენ გამოკითხულთა 57% და ისინი მოსახლეობის უმრავლესობას ათ ქვეყანაში წარმოადგენენ (აქვე შევნიშნავთ, რომ ამერიკელი მკვლევარები სომხეთს მართლმადიდებლურ ქვეყანას უწოდებენ, თუმცა სომხური სამოციქულო ეკლესია ძველად მოსახლეობის მიხედვით მართლმადიდებლობისაგან განსხვავდება). კათოლიკეები ოთხ სახელმწიფოში უმრავლესობა, მუსულმანები კი მხოლოდ ბოსნიაში. ათეისტები ბერძენი ჩეხეთში (72%) და ესტონეთში (45%).

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ჩამოთვლილ ქვეყნებში შეინიშნება მართლმადიდებელთა

მკვეთრი ზრდა და კათოლიკეთა შემცირება“. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ იმ რუსების რაოდენობა, რომლებიც საკუთარ თავს მართლმადიდებლებს მიაკუთვნებენ, გაიზარდა: 1991 წელს იყო 37%, ახლა კი 71%-ია. მსგავსი ტენდენცია იგრძნობა უკრაინაში - 1991 წლის 39%-დან დღევანდელ 78%-მდე, ბულგარეთში - 59%-დან 75%-მდე. კათოლიკეთა რაოდენობა შემცირდა ამ რელიგიის ტრადიციულ ქვეყნებში - პოლონეთში (96%-დან 87%-მდე), უნგრეთში (63%-დან 56%-მდე), ჩეხეთში (44%-დან 21%-მდე).

გამოკითხვის ავტორებს აინტერესებდათ აგრეთვე, თუ რამდენად განსხვავდება დღევანდელი რელიგიური საზოგადოება 1970-1980 წლების მდგომარეობიდან: ქართველების 87%, უკრაინელების 59% და რუსების 55% თვლის, რომ დღეს მათი ქვეყნები უფრო რელიგიურები არიან, ვიდრე საბჭოთა პერიოდში. ამასთან, ბერძენთა 87%, რუმინელებისა და პოლონელების 86% მიიჩნევენ, რომ მათ ქვეყნებში მორწმუნეები დღეს უფრო ცოტაა, ვიდრე 45 წლის წინათ იყო.

ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც მართლმადიდებლები უფრო მეტნი არიან, კათოლიკეებთან შედარებით, ისინი ნაკლებ მტკიცედ იცავენ რელიგიურ წესებს. ასე, მაგალითად, ბოსნიელი კათოლიკეების 54% და პოლონელი კათოლიკეების 45% ამბობს, რომ ეკლესიაში ყოველ კვირას დადის, მაშინ როცა ასე აკეთებს მართლმადიდებელ რუმინელების მხოლოდ 21%, ბერძენების 17% და რუსების მხოლოდ... 6%.

უმდა იყოს“. ასეთი აზრი აქვთ ქართველების 81%-ს და სერბების 78%-ს. რუსების მხოლოდ 57%-ს მიაჩნია, რომ რუსი ქრისტიანი უნდა იყოს (ამ მხრივ რუსეთს ქრისტიან ქვეყნებში მეათე ადგილი უკავია). ამასთან, გამოკვლევის ავტორები საკმაოდ უცნაურ სიტუაციას წააწყდნენ: „რუსი მუსულმანებიც, სხვა რელიგიის მიმდევრებიც და ურწმუნოებიც კი ამბობენ, რომ „ჭეშმარიტი რუსი მხოლოდ მართლმადიდებელი უნდა იყოს“. კათოლიკურ სახელმწიფოებში რელიგიასა და ეროვნებას შორის კავშირი მნიშვნელოვანია მხოლოდ პოლონელებისათვის (64%), ხორვატებისთვის (58%) და ლიტველებისათვის (56%).

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 18 ქვეყნიდან ათ ქვეყანაში გამოკითხულთა ნახევარზე მეტი იზიარებს იმ მტკიცებას, რომ „ჩვენი ხალხი, მართალია, იდეალური არ არის, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენი კულტურა ყველაზე მაგარი და სხვებზე წარმატებულია“. ქვეყნების ამ ათეულში მართლმადიდებლები ჭარბობენ: საკუთარი ეროვნული კულტურის უპირატესობაში დარწმუნებული არიან ბერძენების 89%, ქართველების 85% და სომხების 84%. კათოლიკური მოსახლეობის მქონე ქვეყნებში და იქ, სადაც გაბატონებული რელიგია არ არის, მხოლოდ ბოსნიაში გამოკითხული რესპონდენტების 68% თვლის, რომ „მათი ეროვნული კულტურა სხვებზე უკეთესია“.

კონსტანტინე II
მაკედონელი-ხანი

ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანის შუათანა ძე, დავით II იმამ-ყული-ხანის მომდევნო ძმა, კახეთის მეფე 1722-1733 წლებში. დაიბადა და გაიზარდა სპარსეთში მაჰმადიანად. 1707-1708 წლებში შაჰმა სულთან ჰუსეინმა ირანის სატახტო ქალაქ ისფაჰანის ტარულად (მოურავად, ქალაქის თავად) დაინიშნა. 1722 წ. დავით II-ის გარდაცვალებით



მის შემდეგ, შაჰმა კონსტანტინე კახეთის მეფედ გამოგზავნა, თანაც საბატონოდ მისცა აგრეთვე ერევანი, ყაზახი და შამშადილი. კონსტანტინე იყო „ფრიად მაჰმადიანი, ლალი და ამაყი, მდიდარი და მესისხლე, რამეთუ არა რიდებდა მცირე ზედა კაცთა სიკვდილსა“. ერთნაირად არ ეხატებოდა გულზე ქრისტიანები: ქართველებიც, სომხებიც და რუსებიც. მტრობდა ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს, ლეკებსაც უხსნიდა გზას ქართლის ასაოხრებლად. 1723 წელს პირდაპირ ილაშქრა ქართლში კახური ჯარით. მცხეთა აიღო, ტფილისს დაეცა, მაქარ ვახტანგის ძემ მოიგერია მისი იერიშები. მაშინ კონსტანტინემ მამულად უხმო განჯისა და ერევანის ხანებს და ლეკებს. ქართლელთა მძიმე ბრძოლა გადაიხადეს მაქარის, ვახუშტის და თვით ვახტანგის სარდლობით. ძლიერ დაიხსნეს ტფილისი და მცხეთა. კონსტანტინემ არ მოიხსენა, ჯარიდან ახალი ლეკური ჯარი გადმოიყვანა და ერთბაშად, როცა ვახტანგი ცხინვალს იყო წასული, დაეცნენ ტფილისს, აიღეს და უსატიყვისად აიკლეს. სიონი დაწვეს. ამასობაში ოსმალებმაც მიუსწრეს. კონსტანტინე მათ გამოეგება და ტფილისის კლიტენი მიართვა. მაგრამ ამან არ უშველა. თურქებმა ციხეში ჩააგდეს, ლეკები გაატყვევეს, გაჭოხეს და გაყარეს. ქართლის გამგებლად ოსმალთა ფაშამ მაქარ ვახტანგის ძე გამოაცხადა. კონსტანტინე მაქარს შეევედრა - ნათესავები ვართ, გამომიხსენი და მონად დაგვადგებიო. მაქარმა თხოვნა შეიწყნარა. დაგლახებული კონსტანტინე ციხიდან გაიპარა. 1724 წელს ვახტანგისგან მიტოვებულმა ქართლის პატრიოტებმა კონსტანტინეს ოსმალთა წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლა შესთავაზეს. ისიც მოვიდა და ქართლელთა შუერთდა კახთა და თუმცა ვახტანგის შვილია, ქართლში და მარცხდნენ, კონსტანტინე ოსმალებმა ტყვედ ჩაიგდეს, მალე გაუშვეს. 1731 წელს კი ქართლის მმართველმა ისაყ ფაშამ კონსტანტინე თავისი კახური ჯარით მაშველად მოიხმო აჯანყებულ ქსნისა და არაგვის ხეობა-თა ასაოხრებლად. შეესივნენ ოსმალები და ქართველები ერთად ქართლის სოფლებს. ბოლოს, 1733 წელს ოსმალებმა კონსტანტინე და მისი მხლებელი კახელები ბურჯიდან შუბების ცემით მოკლეს.

გაბრძომლება. დანახვისი №. №236, 241 (2016), №2, 8, 20-21, 33, 67, 74-75, 88, 93, 97,102.

ქართლ-კახეთის
მეფენი
თეიმურაზ II

იხილეთ „კახეთის მეფენი“

ირაკლი II

ძე თეიმურაზ II-ისა და თამარ ვახტანგ VI-ის ასულისა, საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფე, ჯერ კახეთის მეფე 1744-1762 წლებში, შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წლებში. ხალხი სიყვარულით „პატარა კახს“ უწოდებდა. დაიბადა 1720 წელს. 1735 წელს 15 წლისამ პირველი ბრძოლა გადაიხადა - ნეიშნის ველზე გაანადგურა ლეკთა მარბიელი ლაშქარი, რომლის გელადიც პირისპირ მოკლა. 1737 წელს ნადირ-შაჰმა ირანში გაიხმო და მომდევნო წელს ინდოეთს დიდ ლაშქრობაში იახლა. უკან დიდი სახელით დაბრუნდა. 1745 წელს საგურამოსთან, არაგვზე თურქთა და ლეკთა ჯარი გაანადგურა, მათი გელადები ხიზინ-ბეგი და მალაჩა თავისი ხელით დახოცა. 1744 წელს ნადირ-შაჰის დასტურით ერეკლე და მამამისი თეიმურაზ II მეფეებად ეკურთხნენ ქრისტიანობით (130 წლის მანძილზე პირველად, მანამდე ტახტზე მხოლოდ გამაჰმადიანებული ქართველი მეფე თუ დაჯდებოდა) თეიმურაზ II ქართლის მეფედ, ერეკლე II - კახეთის მეფედ. 1747 წელს ერეკლემ გაანადგურა ქართლის ტახტის მოცილე აბდულა-ბეგი, ყრმობიდან გაათრევილი ძე იესე ალი-ყული-ხანისა.

რეანი მირონსხაპული
სელმენიფენი

1748 წელს შირაქში მოსპო ლეკები, მათი გელადი ყოჯახა პირისპირ მოკლა. 1749 წელს ერეკლემ და თეიმურაზმა ერევანთან გაანადგურეს მაჰმად-ხანი და ერევანი თავის სამფლობელო საზღვრებში მოაქციეს. 1750 წელს მამა-შვილმა ფანა-ხანსაც აუგეს წესი და სამუდამოდ შემოიბრტყვეს



ნახიჭევანი, განჯა, ყარაბაღი, ყაზახი და შამშადი. იმავე 1750 წელს ერეკლემ ალაზანზე, დანდასთან გაანადგურა ლეკთა ჯარი. 1751 წელს ყარაბაღისა და ერევანის (ერევანის ახლოს) ხერხიანი მანევრით სრულად გაანადგურა ირანის ტახტის მაძიებელი აბატ-ხანი. იმ წელს ლეკთა სამი შემოსევა მოხდა, სამივეჯერ ამოწყვეტეს მათხარნი მამა-შვილმა. 1752 წელს თულქი თაფასთან გაანადგურეს ალა-ქიშის სარდლობით მოსული დიდძალი მაჰმადიანური მხედრობა. 1754 წელს მჭადიჯვართან ერეკლემ გაანადგურა ლეკთა

ჯარი ხუნძახის ბატონის ნურსალ-ბეგის მეტაურობით. 1755 წელს ხელახლა წამოვიდა ნურსალ-ბეგი 20 ათასი ლეკით, ყვარულთან ერეკლემ კიდევ ერთხელ დაამარცხა და გააქცია იგი. 1756 წელს ერეკლემ და თეიმურაზმა ლეკები გაანადგურეს ნიჩბისთან, კარალეთთან, სკრასთან. 1758 წელს გორში ერთმანეთს შეხვდნენ და ერთობლივი საბრძოლო კავშირი შეკრეს ქართლის, კახეთის და იმერეთის მეფეებმა თეიმურაზ II-ემ, ერეკლე II-მ და სოლომონ I-მა, იმავე წელს ერეკლემ ლეკები გაწყვიტა პატარძელეთან და აზამბურთან. 1758 წელს ერეკლემ, თეიმურაზმა და სოლომონმა გაანადგურეს ლეკთა ჯარები, რომელთაც გელადობდნენ ჩონჩოლ-მუსა და კობტა-მალაჩილა.

1762 წელს თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ქართლი და კახეთი გაერთიანდნენ ერეკლეს ერთ ხელმწიფობის ქვეშ. ერეკლემ ზედიზედ გაწყვიტა ლეკები ყაჩაღისთან (1760 წ.), სუჰყულიანთან (1761 წ.), ახმეტასთან (1762 წ.), კვხვთან (1763 წ.), მრავალწყაროსთან (1764 წ.), სამგორთან (1765 წ.), იორზე (1767 წ.) ამასობაში ერეკლეს გაუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან. მისი მფარველობით ფიქრობდა თავისი ქვეყნისა და ხალხის გადარჩენას მაჰმადიანური სამყაროს განუწყვეტელი მოწოდებისაგან, ფიზიკური და სულიერი განადგურებისაგან. 1769 წელს რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-ემ ერეკლეს ჯარი გამოუგზავნა გენერალ ტოტლებენის სარდლობით. 1770 წელს, აწყურთან, ოსმალებთან ბრძოლის დაწყების წინ, ტოტლებენმა თავისი ჯარით ქართველები მიატოვა და უკან გაბრუნდა. „მოკავშირისგან“ მიტოვებულმა ერეკლემ, 3 ათასი ქართ-

გიორგი XII

უფროსი ძე ერეკლე მეფისა, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე 1798-1800 წლებში. ბრძოლის ველზე მამაცი იყო. მამაცურად იბრძოდა ასპინძის ომში (1770 წ.), სადაც მამამ მარცხენა ფლანგის მეთაურად დანიშნა. სხვადასხვა მიზეზის გამო კრწანისის ტრაგიკულ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია, 1796 წ. ერეკლეს ახლდა განჯის ხელახლა დალაშქრებისას.

ქართლ-კახეთის მეფედ ეკურთხა მამის



გარდაცვალებასთანავე. 1898 წ. იანვარში მიუხედავად დედინაცვლის „პროტესტებისა“. მუნიციპალიტეტის, აუღლებელი და აღუშფოთებელი ხასიათისა იყო. უზომო ჭამა-სმა და ძილი უყვარდა ამისთვის ხალხმა „ზაქიჭამია“ უწოდა. ორმოც წელს მიღწეული ტანით იმდენად დამძიმდა, რომ ცხენზე შეჯდომა უჭირდა. იყო მოყვარე სწავლა-განათლებისა. ბრწყინვალედ იცოდა საღვთო სჯული და „ქართლის ცხოვრება“. ძმები გაუმტერდნენ. გიორგი წყალმანკით იყო ავად და რუსეთის საიმპერატორო კარი მის სიკვდილს ელოდებოდა, რათა ქართლ-კახეთი იმპერიის საკუთრებად ექცია. 1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა. მისი სიკვდილით დასრულდა ქართული ხელმწიფობა აღმოსავლეთ საქართველოში.

იბარეთის მეფენი
დავით I

იხილეთ დავით VI („ერთიანი საქართველოს მეფენი“).

კონსტანტინე I

შუათანა ძე დავით VI ნარინისა. იმერეთის მეფე 1293-1327 წლებში ქუთაისის ტახტზე ავიდა. მამის სიკვდილისთანავე უმცროსი ძმა მიქელი არ შეურიგდა მის გამეფებას და რაჭა და არგვეთი წაართვა. სიკვდილამდე არ შერიგებულან ძმები, კონსტანტინე I აღესრულა 1327 წ.



მოამზადა ალექსანდრე ალანოვიჩი (ვაკრძელება იქნება)

1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერმა შეასრულა თავისი დაპირება ანგელოსაქსების წინაშე და დაესხა თავს სსრ კავშირს. მანამდე სამი დღით ადრე დაზვერვამ მოახსენა სტალინს ჰიტლერის არა მხოლოდ განზრახვის შესახებ, არამედ ჩერჩილის განზრახვის შესახებაც – შეუტეოს ჩვენს ქვეყანას. ვითარება იყო უკიდურესად აწინილ-დაწინილი და სრულიად გაურკვეველი. ომის წინა (1941 წლის 6 მაისიდან) სტალინი გახდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოთა თავმჯდომარე, ესე იგი მთავრობის მეთაური. 1941 წლის 30 ივნისს სტალინი სათავეში ჩაუდგა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს, მის ხელში თავი მოიყარა სახელმწიფოში ხელისუფლების მთელმა სისრულემ. 1941 წლის 3 ივნისს ის გამოვიდა რადიოთი საბჭოთა ხალხისადმი მიმართვით. ეს იყო უმნიშვნელოვანესი სიტყვა, რომელიც იწყებოდა სიტყვებით „ძებო და დებო“. გადაჭარბების გარეშე – ოპერატიული ხელოვნების შედეგად.

1941 წლის 19 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ი.ბ. სტალინი დანიშნა სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომისარად. სტალინის მთავარი ამოცანა იყო არა მხოლოდ საბრძოლო მოქმედებათა ხელმძღვანელობა, არამედ ინგლისთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთმოქმედებათა ორგანიზაცია. მათ, ცხადია, სურდათ, დარჩენილიყვნენ გვერდზე და იქიდან ედევნებინათ თვალყური სსრ კავშირისა და გერმანიის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაზე. სტალინის დიპლომატიური ბატალიები „მოკავშირეებთან“ ცალკე წიგნად ღირს – მეტად დიდი მოცულობისანი არიან ისინი. მაგრამ ყველაზე მთავარი მან შეძლო – ინგლისელებმა და ამერიკელებმა დაიწყეს ჩვენი დახმარება, იაპონიამ კი მაინც ვერ გარისკა, დაგესხმოდა თავს. საუბარი სტალინის „პანიკის“ შესახებ ომის პირველ დღეებში – სიცრუეა. მოლოტოვი ამას ასე იხსენებს: „დაბნეუთ არ დაბნეულა, განიცდიდა – კი, მაგრამ არ გვიჩვენებდა გარეგნულად. თავისი სირთულეები სტალინს ჰქონდა, რასაკვირველია. რომ არ განიცდიდა – სისულელეა. მაგრამ მას წარმოგვიჩვენა არა ისეთად, როგორც იყო, არამედ როგორც ცოდვის მომწივებლად გვიჩვენებენ! ეს, რასაკვირველია, აბსურდია. მთელი ეს დღეები და ღამეები, როგორც ყოველთვის, მუშაობდა, სადეცალა, რომ დაბნეულიყო ან მეტყველების უნარი დაკარგოდა“.

თუ ემოციებს გვერდზე გადავდებთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ ყოველთვის ცდილობენ, ბრალი დასდონ სტალინს „თემის მიხედვით“. ის ყოველთვის დამნაშავეა იმაში, რაც მოხდა. ანდა დამნაშავეა იმაში, რაც არ მოხდა. რა, თუკი ამას აქვს დადებითი ელფერი. თუ ომი დაიწყო – მისი ბრალია, რომ იგი დაიწყო და დიდია დანაკარგები. თუ სტალინმა დანაკარგების გარეშე დაიბრუნა დასავლეთი ბელორუსია – ის თავზედ მტაცებელია. თუ მისმა ცოლმა თავი მოიკლა, დამნაშავეა მხოლოდ სტალინი. თუ მეორე, გარდაცვალების შემდეგ ცოლი არ მოუყვანია – მამასადამე, ის იდუმალი გარყვნილია. თუ სტალინი ქმნის სახელმწიფო ისრაელს და არის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხრე მისი რუკაზე გაჩენისა, ამის შესახებ არ ლაპარაკობენ. სამაგიეროდ, ნებისმიერი ციხეში ჩასმული სსრ კავშირის ებრაელი მოქალაქე სტალინის ბრალდებისთვის არის ანტისემიტების არა მხოლოდ დადასტურება. რაც უნდა მოხდეს ცუდი და ტრაგიკული – ამაში ყოველთვის სტალინია დამნაშავე. თუ მოხდა რამე კარგი და მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის – ეს თავისთავად მოხდა, მისი დამსახურება ამაში ნულია.

ამ დროს ომის ყელაზე რთულ მომენტებში სტალინი ავლენდა რწმენას და პირად მამაცობას. უბრალოდ, 1941 წლის ივნისის ყველაზე პირველ საათებში და დღეებში მას სჭირდებოდა გარკვეულიყო, უწინარეს ყოვლისა, მომხდარის პოლიტიკურ მიზეზები. ჰიტლერი ხომ დაგვესხა, როდესაც არმიისთვის არ ჰქონდა თბილი ტანსაცმელი, არ ჰყავდა რეზერვები და რაც მთავარია – გაურკვეველია რატომ. გამარჯვების შანსები მას არანაირი არ ჰქონია. გერმანიის არმიის 22 ივნისის შანსები, განხორციელებინა ჩაფიქრებული გეგმა „ბარბაროსა“, პრაქტიკულად ნულის ტოლი იყო. და მხოლოდ რუსეთისთვის ტრაგიკული, მოვლენათა მაქსიმალურად არახელსაყრელი მოვლენები 1941 წლის აგვისტოში ხდის გერმანელთა შანსს „ნულს ზემოთ“. მაგრამ ომის შედეგი ამ დავაში სვამს დიდ წერტილს: მოვლენათა ყველაზე ხელსაყრელი განვითარების დროს გერმანიამ ომი წააგო, ვერ შეძლო რუსეთის განადგურება. მაშასადამე, ჰიტლერს გამარჯვების შანსები საერთოდ არ ჰქონია. რატომ დაგვესხა თავს? რას დაჰპირდნენ მას ინგლისელები? აი ის შეკითხვები, რაც უნდა გაეგო სტალინს ომის პირველ დღეებში. იქნებ, ახლა ღირს, ველოდოთ ბრიტანული ავიაციის დარტყმას ბაქოს ნავთობსაბადოებზე? ან ინგლისის არმია გაიჭრება ამ საბადოებისკენ ერაყიდან? ვის შეეძლო მიეცა იმის გარანტია, რომ ლონდონი და ვაშინგტონი გახდებიან რუსეთის მოკავშირეები? ვფიქრობ, რომ თანამედროვეობის ლიბერალური ისტორიკოსების გარდა ვერც ერთი ადამიანი ამის თავადებობას ვერ იკისრებს. სტალინს კი სჭირდებოდა, სწრაფად გარკვეულიყო ამ ხლართში. მაგრამ იმ რთულ ვითარებაშიც კი სტალინი სტალინად რჩებოდა. ცივი სისხლიან და ნიჭიერ ხელმძღვანელად.

სახელგანთქმული პოლარული მფრინავი, საბჭოთა

ნიკოლაი სტალინი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვისხანაბთ ერთად



კავშირის გმირი მ.ვ.ვოდოპიანოვი პირდაპირ, 1941 წლის 22 ივნისს, როდესაც გაიგო ომის დაწყების შესახებ, ჰიდროთვითმფრინავით ჩრდილოეთიდან მოსკოვში ჩაფრინდა. „დაეშვა ხიშიში და უმაღლე წავიდა კრემლში. ის მიიღო სტალინი. ვოდოპიანოვმა შესთავაზა, განახორციელონ ჩვენი ბომბდამშენების თავდასხმა ფაშისტურ გერმანიაზე.“

– ეს როგორ წარმოგიდგენიათ? – შეეკითხა სტალინი და რუკასთან მივიდა.

ვოდოპიანოვმა გაავლო ხაზი მოსკოვიდან ბერლინამდე.

– არ იქნებოდა უკეთესი აქედან? – თქვა სტალინმა და უჩვენა კუნძულები ბალტიის ზღვაში“ (ფ.ჩუევი. ას ორმოცი საუბარი მოლოტოვთან).

ამ საუბრის შედეგი გახდა ბომბდამშენების თავდასხმები ბერლინზე ესტონეთის კუნძულ ეზელიდან (დღეს საარემია)...

ომის პირველ თვეებში სტალინი ელოდებოდა არა მხოლოდ კატასტროფულ ახალ ამბებს ფრონტიდან, რომლებიც ნებისმიერ ადამიანს გატეხავდა. მას პირადი ტრაგედია ელოდებოდა. ვაჟიშვილი იაკობი, რო-

გამომავლად 1968 წელს. არც ომის დროს, არც მის შემდეგ სტალინს ერთი მცდელობაც არ გაუკეთებია, გაეგო, რა მოხდა რეალობაში...

რომ ერთბაშად დავხუროთ სტალინის შვილების ომში მონაწილეობის თემა, აუცილებელია, გავისხენოთ ვასილის შესახებაც. 1941 წლის მაისში მან ლიპეცკის საავიაციო კურსები დაამთავრა, და 1941 წლის ივნისში დაინიშნა წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების ინსპექტორ-მფრინავის თანამდებობაზე. ცხოვრებაში ვასილი თავისი ძმის იაკობის საპირისპირო ხასიათისა იყო. ვასილი სტალინის ისტორია მეტად ჭკუისსასწავლი და ტრაგიკულია. მიუხედავად მამის ყოველგვარი აღმზრდელობითი ზომებისა, ის გაიზარდა როგორც ბატონიშვილი და სკანდალური – „შემორჩენილია ვასილის წერილები მამისადმი. ერთ-ერთ მათგანში, ფრონტიდან, ვასილი სთხოვს, გაუგზავნოს მას ფული – ნაწილში გაიხსნა ბუფეტი და, იმის გარდა უნდოდა შეეკერა ოფიცრის ახალი ფორმა. ამ წერილზე ასეთი რეზოლუცია დააწერა: „1. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, სამწუხრო ულუფა წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების ნაწილებში საცვებით საკმარისია. 2. წითელ არმიაში განსაკუთრებული ფორმა სტალინის შვილისთვის გათვალისწინებული არაა“. ესე იგი ვასილი ფული არ მიუღია.

იცოდა რა ვასილის ხასიათი, მისი სამსახურის ახალ ადგილზე ჩასვლის შემდეგ, მაგალითად, გაუგზავნა წერილი ნაწილის ხელმძღვანელობას, რომელშიც პირდაპირ ჩაწერა: „... ნუ გააკეთებთ რაღაც გამონაკლისებს შვილისთვის“. 1946 წელს სტალინმა შვილს დაურეკა და მისი სამსახური არყოფნა აღმოაჩინა. თურმე, ამ მომენტში ნასული იყო დაკარგული სანადირო ძაღლის საძებნელად. სსრ კავშირის მეთაურმა დაუყოვნებლივ გამოუცხადა მას ათი დღით პატიმრობა.

„ვასილი სტალინი უხვირო კაცი იყო. არ შეიძლება თქმა, რომ ის ყოველმხრივ ცუდი იყო, მაგრამ მას ბევრი ცუდი რამ ჰქონდა. დაიწყეს მისი განდიდება, ის კი უკმაყოფილოა. ნიჭიერ განსაკუთრებული არ ჰქონია, იყო შეუმჩნეველი. მამას არ ჰგავდა. სუსტი ხასიათის ადამიანი“, – ასე ახასიათებს ვასილის ვიკიპედია მოლოტოვი. მაგრამ სამართლიანი რომ ვიყოთ, აუცილებლად უნდა მივუთითოთ, რომ გარდა ხუშტურიანი ბატონიშვილობისა, ვასილი სტალინი იყო ნებისყოფიანი და გაბედული ადამიანი. მაგალითად, შაულიაში, სადაც ის მსახურობდა, ერთხელ აეროდრომზე შემოიჭრნენ გერმანული ტანკები. დაიწყო პანიკა. მაშინ, ვასილი სტალინიმა ღია მანქანაში ჩასვა ცოლი, რომელიც მასთან სტუმრად იყო, გავიდა ასაფრენ ზოლზე და შეძლო აღედგინა მდგომარეობა, შეაჩერა ავტომობილი გაქცეულების წინ. **„მხდალებო, შეხედეთ ქალს და მას არ ეშინია!“** პანიკა დაძლიეს, თვითმფრინავები ჰაერში აფრინდნენ. სულ დიდი სამამულო ომის პერიოდში ვასილი სტალინიმა 27 საჰაერო ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა.

შეძლო სტალინის შვილს კეთილი საქმეებიც. განსაკუთრებით ეს გამოვლინდა სპორტულ სფეროში, რომელშიც ის თავისებური მეცენატი გახდა. მაგალითად, მან შეძლო ორმოცდარვა საათის განმავლობაში (!) გადაეკეთებინა თვითმფრინავის ანგარი კალათბურთის დარბაზად საშხაპეებით და სამხედრო საჰაერო ძალების საკალათბურთო გუნდმა მიიღო შესაძლებლობა, ეთამაშა სსრ კავშირის ჩემპიონატში.

უმაღლე სტალინის გარდაცვალებიდან ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვი. სტალინი ოცდათორმეტი წლის ასაკში 1953 წლის 26 მარტს გაათავისუფლეს არმიის შემადგენლობიდან სამხედრო ფორმის ტარების აკრძალვით. 1953 წლის 28 აპრილს ის დააპატიმრეს. ხრუშჩოვისეული „დათობა“, რამაც აურაცხელი უბედურება მოუტანა ჩვენს ქვეყანას, დაიწყო იმის შვილის დაპატიმრებით, რომელიც ხრუშჩოვს აუტანლად ეზიზღებოდა. ვასილიმ გაფლანგვისათვის რვა წელი მიიღო. მაგრამ დაპატიმრების რეალური საბაბი სხვა რამ იყო: სტალინის შვილი მივიდა ჩინეთის საელჩოში და გულლიად ლაპარაკობდა, რომ მამამისი მონამლეს. ვასილი ციხეში შვიდი წელი იჯდა, რის შემდეგაც ის გამოუშვეს, და ის შეხვდა ხრუშჩოვს. ვასილი თავისუფლებაში იმყოფებოდა ორთვენახევარი, შემდეგ ის „დააბრუნეს“ ციხეში, რომ „დაემთავრებინა“ თავისი რვა წელი. სტალინის შვილმა თავისი „ვადა“ დაამთავრა მთლიანად. შემდეგ რა მოუვიდა ადამიანს, რომელიც იჯდა ციხეში მთელი ვადით „გაფლანგვისათვის“? ის ყაზანში გადაასახლეს, სადაც 1962 წლის 19 მარტს, ორმოცდამეორე წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალების შემდეგ მას სვლიანი შვილი დარჩა – ოთხი თავისი და სამი აყვანილი. „მამაჩემის სიკვდილი ჩემთვის დღემდე გამოცანაა. დასკვნა მისი სიკვდილის შემდეგ არ ყოფილა“, – დაწერს მოგვიანებით ნაფეხდა სტალინი. არის ძალიან დიდი იმის ალბათობა, რომ ვასილი სტალინი მონამლეს. როგორც მამამისი...

თარგმანი
ზურაბ ლორთქიფანიძე
(ბაზრქმუბა იმწეზა)

დაუხსნება

მოსკოვში გარდაცვლილი სტალინის შვილი შვილი ცნობილი რეჟისორი გახლდათ ალექსანდრ ბურდოვსკი – და არა ალექსანდრ ბურდოვსკი.



ვასილი სტალინი და იაკოვ ჯუღაშვილი

მელიც არტილერიის ლეიტენანტის წოდებით, ჰაუბიცის ბატარიის მეთაურის თანამდებობაზე იყო, 1941 წლის 24 ივნისიდან ჩაერთო საბრძოლო მოქმედებებში, უკვე 1941 წლის ივნისის დასაწყისში ტყვედ ჩავარდა. სტალინს არაფერი გაუკეთებია, რომ გამოეყვანა შვილი ტყვეობიდან. იყო რა სსრ კავშირის მეთაური, მას შეუძლებლად მიაჩნდა განსაკუთრებული დამოკიდებულება თავისი შვილისადმი. იაკოვ ჯუღაშვილის გადაბირება არაერთხელ სცადეს გერმანელებმა, მაგრამ ის ფიცის ერთგული დარჩა. შესანიშნავად ესმოდა, რომ ის გაცვლითი ბანქოა, ფაქტობრივად წავიდა თვითმკვლელობაზე, როდესაც 1943 წლის 14 აპრილს ტყვეთა ბანაკში უარი თქვა, შესულიყო ბარაკში, და გაიქცა სასიკვდილო ზონისაკენ, რითაც მოახდინა გუშაგის პროვოცირება, მან დახვრიტა იგი. წინ გაუუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ გერმანელებმა დამალეს იაკობის სიკვდილი – ის მათ „ცოცხალი“ სჭირდებოდათ, გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ბევრი დოკუმენტი ინგლის-ამერიკელების ხელში აღმოჩნდა. და მოკავშირეებმა ისინი დააშალეს. დოკუმენტები შვილის, დალუპვის შესახებ არ გადასცეს სტალინს, როგორც ამას ადამიანური მორალი და სამოკავშირეო ურთიერთობანი მოითხოვდნენ. ისინი

რამზი ჩხანი თაბაშია!

ედი ჯონსი „ექსპრესი“ გახსნას ემხრობა

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ედი ჯონსი „ექსპრესი“ გახსნას და მის ბოლოადგილოსანსა და რაგბის ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულს შორის პლეი ოფის სისტემის დანერგვას ემხრობა.

ავსტრალიელი სპეციალისტი, რომელმაც ინგლისის „ექსპრესი“ ზედიზედ ორჯერ მოაგებინა, დარწმუნებულია, რომ ეს ტურნირის დამატებით ხიბლს შემატებს.

„საქართველოსა და რუმინეთს უდიდესი პოტენციალი და რაგბისთვის შესანიშნავი გენოფონდი აქვთ. ამას ისიც ემატება, რომ საქართველოში ინფრასტრუქტურა მუდმივად ვითარდება. იდეალური იქნება, თუ რაგბი ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულსა და „ექსპრესი“ ბოლოადგილოსანს შორის პლეი ოფი შედგება. ნუთუ ეს საინტერესო არაა? წარმოიდგინეთ, რომ ეთამაშებით საქართველოს თბილისში 60 ათას



მაყურებლის წინაშე, რათა „ექსპრესი“ თამაშის უფლება მოიპოვოს!“ – ამბობს ჯონსი.

„ექსპრესი“ აშკარა აუტსაიდერი იტალიაა, რომელიც ტურნირის 2000 წელს დაემატა, 18 გათამაშებიდან 12-ჯერ ბოლო ადგილზე დარჩა და უკანასკნელი 20 თამაშშიდან მხოლოდ ერთი მოიგო. მიუხედავად სპეციალისტთა თუ გულშემოტიკართა მოთხოვნისა, „ექსპრესი“ იტალიას უფროსილდება და მინიმუმ 2020 წლამდე პლეი ოფის დანერგვაზე საუბარზე არ სურს.

კობა კობახიძე

რეტრო

ქმები სტაროსტინების „წითელი ბარათები“

დიდი ხნის იძულებითი „შესვენების“ შემდეგ, მოსკოვის საფეხბურთო კლუბი „სპარტაკი“ რუსეთის ჩემპიონი გახდა. უფროსი და საშუალო რაუნდების ქართველ ფეხბურთის ქომაგებს კარგად ახსოვთ წლების მანძილზე თბილისის „დინამოსთან“ „სპარტაკის“ როგორც ფეხბურთელ-



თა, ასევე მის ხელმძღვანელთა, რბილად რომ ვთქვათ, „არაკეთილშეგობრული“ დამოკიდებულება, რამაც ბევრს თმა გაუთეთრა. ამ ჩვენი „დაუძინებელი მგობარი“ კლუბის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი ოთხ მძა სტაროსტინს უკავია, რომელთაგან სწორედ უფროსის – ნიკოლაის წინადადებით, ფიზიკულ-სპორტულ საზოგადოებას 1935 წელს მემბროზე რომაელი გლადიატორის სახელი დაერქვა.

ქიშობა, ზოგჯერ „არასპორტული“ ვენებათაღელვებით შეზავებული, სპორტული სამყაროსთვის ნამდვილად არახალი ამბავია, მაგრამ მოსკოვის „სპარტაკის“ თბილისის „დინამოსადმი“ და, ცხადია, მისი ბრწყინვალე ფეხბურთელებისადმი არამეგობრულ დამოკიდებულებას დიდწილად ანდრეი და ნიკოლაი სტაროსტინების „დამსახურება“ გახლდათ, რომელთაგან ერთი ფეხბურთში სსრ კავშირის ნაკრების უფროსი, მეორე კი სპორტ-საზოგადოება „სპარტაკის“ თავკაცი იყო.

1942 წლის მარტში ოთხივე მძა სტაროსტინი – ალექსანდრე, პეტრე, ნიკოლაი და ანდრეი – დააპატიმრეს. შინაგან საქმეთა კომისარიატის არქივებში შემორჩენილია იოსებ სტალინისადმი ლავრენტი ბერიას საიდუმლო პატაკი, რომელშიც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ უაღრესად დაძაბული მდგომარეობის დროს „პროფაშისტურად განწყობილი ძმები... მოსკოვში დარჩენას გეგმავენ და იმედი ჰქონდათ, რომ მას შემდეგ, რაც ქალაქს გერმანელები დაიკავენ, სპორტში დიდ თანამდებობებს დაიკავენ“ ამის დასტურად ანდრეი სტაროსტინის ასეთი გამონათქვამები მოყვანილი: „გერმანელები დაიკავენ მოსკოვს, ლენინგრადს. ამ ცენტრების დაკარგვა ბოლოს მოუღებს ბოლშევიზმს, გამოიწვევს საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას და ხელს შეუწყობს ახალი წესრიგის დამყა-

რებას. ბოლშევიკური იდეა, რომელმაც 1928 წელს მე პარტიაში ჩამოთრია, ამჟამად სრულადაა გაქარწყლებული, მისი ნასახივ ალარაა დარჩენილი“.

ნიკოლაი სტაროსტინი: „გერმანელთა შეტევის უკვე მეთერთმეტე დღეა (1941 წლის 15 ოქტომბერი), ისინი დიდი-დიდი ერთ კვირაში აქ იქნებიან, ამიტომ უნდა ვიქნარო და ყველაფერი გავაფორმოთ... როცა ბინებს ავიღებთ, მხოლოდ ებრაელებისა უნდა შევარჩიოთ, იმიტომ, რომ ისინი აქ აღარასდროს დაბრუნდებიან“.

სტაროსტინის ცოლი: „ლალა (ქალიშვილი) გერმანულს შესასწავლად მიდის, მეც უნდა ვისწავლო, თორემ გერმანელები მოვლენ, მე კი ლაპარაკს ვერ შევძლებ“.

ნ. სტაროსტინი: „ჰო, საინტერესო ცხოვრება მოდის“.

ამდენად, სტაროსტინები გერმანელ საოკუპაციო ხელისუფლებასთან თანამშრომლობას გეგმავდნენ, თან აქტიურად მიჰყვეს ხელი ვალუტის, ოქროსა და სურსათის მომარაგებას – ნათქვამი შემდგომ ლავრენტი ბერიას მოხსენებით ბარათში. – დადგენილია, რომ ისინი სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების მრავალრიცხოვან დაჯგუფებასთან არიან დაკავშირებული, რომლებიც სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ სამრეწველო კოოპერაციისა და სამეურნეო სანარმოთა სისტემაში არიან მოკალათებული. ამ დროისთვის დაკავებულია 15 კაცი და ნიკოლაი სტაროსტინი მხილებულია, როგორც დაჯგუფების ხელმძღვანელი.

მოხსენებით ბარათის პირველ ფურცელს ადევს რეზოლუცია: „ვალუტით სპეკულაციისთვის და სამრეწველო კოოპერაციის ქონების ქურდობისთვის ნ. სტაროსტინი დააპატიმრებულ იქნას. ი. სტალინი“.

გამოძიების მსვლელობისას ოთხივე მძამ აღიარებით ჩვენება მისცა. ნ. სტაროსტინი კიდევ ერთი ბრალდება წაუყენეს, რომელიც შეძლებულ მოსკოველთა ფრონტის ხაზზე გაგზავნისაგან გათავისუფლებას ეხებოდა. ანგარების მიზნით იგი მოსკოვის ბაუმანის რაიონის სამხედრო კომისარს კუტარაშვილის დაუკავშირდა, რომელსაც ქრთამების საფასურად გარკვეულ პირთა მობილიზების გადავადების შესაძლებლობას აძლევდა.

ძმებ სტაროსტინებს 10-10 წელი მიუსაჯეს. ალექსანდრე სოლიკამსკში გააძვინეს, პეტრე – ნიჟნი ტაგილში, ნიკოლაი – უსტაში, ანდრეი – ნორილსკში. სასჯელის მესამედის მოხდის შემდეგ ნიკოლაი სტაროსტინი იოსებ სტალინმა, ვაჟიშვილის ვასილის თხოვნით, შეინჯალა, რომელსაც სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდისთვის მწვრთნელი სჭირდებოდა. იგი პატიმრობიდან კი გაათავისუფლეს, მაგრამ სსრ კავშირის 16 ცენტრალურ ქალაქში ცხოვრება აუკრძალეს, ამიტომაც სამწვრთნელო მოღვაწეობა ამჟამის კომსომოლსკში გააგრძელა.

დანარჩენმა ძმებმა კი თავთავის სასჯელი ბოლომდე მოიხადეს, რის გამოც ნიკოლაიზე წყენას ხშირად გამოქვამდნენ.

ინო პლემანდრი

კალათბურთი

ფინიში თუ რევენი?

სამსახური შესაძლებელია, დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაული თბილისის „დინამომ“ საკალათბურთო სუპერლიგის ზედიზედ მეორედ მოგებით აღნიშნოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დღეს ირაკლი ხოშტიარის გუნდი ეროვნული თასის მფლობელ „ქუთაისს“ რიონისპირა ქალაქში დაამარჯვებს და ფინალურ სერიამ მშრალი ანგარიშით – 3:0 გაიმარჯვებს.

პრინციპულ მეტოქეთა პირველი და მეორე შეხვედრები დედაქალაქის ახალ ოლიმპიურ სასახლეში გაიმართა და მასპინძელთათვის სასურველი შედეგებით დასრულდა, თუმცა, მათში მოვლენები განსხვავებული სცენარით განვითარდა.

სასტარტო მატჩი სტუმრებმა ყინვად დაიწყეს და სოლიდური უპირატესობითაც დანიშნულდნენ – 21:11, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს კოტე ტულუშის შეგირდთა შესაძლებლობების მაქსიმუმი ყოფილა. ახალგაზრდა, ამბიციური თავკაცის მიერ აღებული წუთშესვენებიდან მოყოლებული, „თორღურჯები“ მალევე მოეგნენ გონს და შესვენების შემდეგ ღირსეულად მიიყვანეს საქმე პირველ ჩხვლეტამდე – 81:74.

საფიქრებელი იყო, რომ მეორე დღეს იმერული კლუბის სათანადო დასკვნებს გამოიტანდა მიღებული გაკვეთილიდან, მაგრამ ასე არ მოხდა – პირიქით, ფავორიტმა დებიუტიდანვე დაბობმა ოპონენტთა კალათი შედეგიანი ტყორცებით როგორც პერიმეტრიდან, ისე სამწამიანი ზონიდან და, რომ იტყვიან, ნახევარი ძალით მიაღწია საწაღელს – 88:65.

ბუნებრივია, ასეთი სიუჟეტი მეტწილად განპირობდა როგორც ობიექტურმა, ისე სუბიექტურმა ფაქტორებმა. მათგან რამდენიმე, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა კიდევ ასეთი შედეგი.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ ისედაც სრულფასოვანი შემსრულებლებით დაბალანსებულ მოქმედ ჩემპიონთა შემადგენლობას სულზე მოუხსნრო ახალგაზრდობით აღჭურვილი ნამყვანი გამათამაშებლის დეონტა ვონის მწყობრში დაბრუნებამ, რომელმაც ჯერ პირველ ბრძოლაში მოახდინა საკონტროლო გასროლა, როცა კრიტიკულ ვითარებაში ჩააგდო სამქულიანი, ხოლო მეორე თამაშში, პრაქტიკულად, პირადად მოიგო – 25 ქულა, თანაც, დაჩრდილა „ჯვაროსანთა“ სასტარტო ხუთეულის წევრი ცინცაძე.

არანაკლებ დასაფასებელია დინამოელთა ცენტრების – ლონდარიძისა და მარავიჩის ძალისხმევა, რომლებმაც პირნიმინდად დაჯაბნეს ფარქვეშ ბრძოლაში ტუბაკი და ქადარია. და ეს მაშინ, როცა ქუთაისელები საბედისწეროდ დაა-

ლალატა ქართული კალათბურთის აქტიურობის ქუსლმა – ორ შეხვედრაში სტუმრებმა 30(!) საჯარიმო ააცილეს მიზანს. დაგვეთანხმები, ამას მოხერხება უნდა.

ალბათ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ ორიოდ წუთით შეძლო სარბიელზე გამოჩენა ფაშაევმა (ისიც პირველ მატჩში). მან რამდენიმე დღის წინათ აზერბაიჯანის ნაკრების შემადგენლობაში ისლამური ქვეყნების სპორტული თამაშები მოიგო, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ სეზონის



ფინიში დინამოელები გამოიტულ მეტოქესთან შედარებით გაცილებით უკეთეს კონდიციებში შეხვდნენ, ამიტომ მათი დანიშნულება ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ. ვიტალი ჯავახიძე

ფეხბურთი

ჟოზე - ტრიუმფის რესაპტი



თურმე, ყოფილა ტიტული, რომელიც სახელოვანი „მანჩესტერის“ უმდიდრეს კოლექციას აკლდა. ეს იყო ევროპა ლიგის (ყოფილი უეფას თასის) გამარჯვებულობისთვის განკუთვნილი ჯილდო და სტოკჰოლმის „ფრიენდზ არენაზე“ გამართული ფინალის შემდეგ ეს ვაჟუშვიტი შეივსო. აღსანიშნავია, რომ „წითელი ეშმაკუნების“ მორიგი ტრიუმფი ძლევაშილიმა ჟოზე მოურანიუმ გამოჰყვდა, რომელსაც ჯერ ერთი დასკვნითი რაუნდის კი არ წაუგია. სწორედ პორტუგალიელი მწვრთნელის დამსახურებაა, რომ „ოლდ ტრაფორდის“ ბინადრები იმ ელიტურ კლუბს შეუერთდნენ, რო-

მელშიც ყველა პრესტიჟული პრიზის მფლობელები არიან გაერთიანებულნი, თანაც – მანჩესტერში განხორციელებული ვანდალური ტერორისტული აქტის კვალდაკვალი.

„მანჩესტერი“ – „აიაქსი“ 2:0 პირველი ტაიმი 1:0 გოლები: პოგბა, მხითარაიანი. ტრავმირებული იბრაჰიმოვიჩის არყოფნის მიუხედავად ფავორიტის უპირატესობა თვალსაჩინო გახლდათ, ასე რომ, ბრიტანელთა წარმატება საკვებით კანონზომიერია. გუნდების თავკაცთა ტაქტიკურ დუელში ჟოზე „განსაკუთრებული“ ფაქტორის გარდა, ასეთი შედეგი ცალკეულ სოლისტთა ინდივიდუალურმა ოსტატობამ და მაღალმა კლასმაც განაპირობა.

მოკლედ, „მანჩესტერმა“ წლევიანდელი სეზონის წინ დასახული პროგრამა-მინიმუმი ღირსეულად გადაჭრა, ჩემპიონთა ლიგის დამატებით საგზურს დაეუფლა და იქ ინგლისის წარმომადგენლობა ხუთამდე გაზარდა, ჰოლანდიელთა ახალგაზრდული ანსამბლი კი თავანუელი მიდის საზაფხულო არდადეგებზე. ბიორბი შოთაძე

ინტერნეტიდან

ეს ელისია!

ბრიტანელი მოზურთაღის ჯერმენი პენანტის მეუღლე, მოდელი ელის გუდინი არაერთხელ გამხდარა მსოფლიოს ბულგარული მედიის სამიზნე. ერთი წლის წინათ მისი ელის მასზე გავრცელებული ჭორები არ ებიტნავა და ჟურნალისტებს ისეთები უთხრა, ბევრ ენამსკლარტესაც კი რომ არ დაესიზმრებოდა.

ახლა განსაკუთრებული მსჯელობისა და განხილვის საგანი ელისის კოხტად შეღერებული მკერდია, რომელიც „ყვირული“ პრესის ვარაუდით პენანტის მეუღლემ არაერთხელ „შეიპაჩინა“ და საბოლოო ჯამში ბევრი გაზრდა-დაპატარავების მერე როგორც იქნა მიიღო ის, რაც უნდოდა.

მკერდის ფორმის შეცვლა ჩვენს დროში, აბა, ვის უკვირს? მაგრამ ჟურნალისტებმა, როგორც ჩანს, ჯერ კარგად არ უნყიან, როგორი გუნებისა და ყაიდის ქალთან აქვთ საქმე და ეგენი იმდენს იზამენ, ელის გუდინი ადგება და სულ აზღუდით გალახავს მის მკერდზე მოლაყ-



ბეებს. არადა, მშვენიერი სალაყბოა, ღმერთმანი... როსტომ რაჭველიშვილი

სულიერება

ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი



გუშინ მართლმადიდებელმა სამყარომ აღნიშნა ამაღლების დღესასწაული, ამაღლებას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომლის ტროპარია: „ამაღლდი დიდებით, ქრისტე ღმერთო ჩვენო და მხიარულ ჰყვენ მონაფენი ალექსანდრისა მის სულისა წმიდისათა, განამტკიცენ რა იგინი კურთხევითა მით, რამეთუ შენ ხარ ძე ღმრთისა, მსხნელი სოფლისა“.

...ამაღლება, სახარების მიხედვით, აღდგომიდან მეორე დღეს იდღესასწაულდება. იესო ქრისტე თავის მონაფეებთან ერთად იერუსალიმიდან ბეთანიისაკენ გაემგზავრა. ელენის მთაზე იგი ესაუბრა მოციქულებს ღვთის სასუფეველზე და მოუწოდა, დარჩენილიყვენ იერუსალიმში სულიწმიდის მოფენად. დამოძღვრა ისინი და მათ თვალწინ ზეცად ამაღლდა.

ნიშანდობლივია, რომ მონაფეთა თვალთაგან ღრუბელმა დაფარა იესო ქრისტე. მოულოდნელად მოესმათ მათ ხმა ზეციური მაცნესი, რომელიც ამცნობდა: „ესე იესუ, რომელი ამაღლდა თქვენგან ზეცით, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“.

აღსანიშნავია ამაღლების დღესასწაულისადმი დამოკიდებულება, ის დამოკიდებულია აღდგომის დღესასწაულზე და ამიტომ მოძრავია...

* * *

აღდგომიდან მე-7 (პირველი მსოფლიო კრების (325 წ.) წმიდათა მამათა) კვირიაკე.

* * *

28 მაისს მოციქულთა სწორთა მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას ხსენების დღეცაა.

საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად მიიჩნეოდა მისი დროს გამოცხადდა.

გიული ლიპარტიანი

ახალი სასტუმრო თბილისში

რამდენიმე დღეში თბილისის ცენტრში კიდევ ერთი მაღალი კლასის სასტუმრო დაიწყებს ფუნქციონირებას. 5-ვარსკვლავიანი IOTA HOTEL TBILISI 90 მანქანაზე გათვლილი და ის ოფიციალურად 2 ივნისს გაიხსნება.

IOTA HOTEL TBILISI-ს მარკეტინგის დირექტორის თამარა ჯავახიძის განმარტებით, IOTA ქართული ბრენდია, რომელიც სასტუმრო ბაზარზე პოზიციონირებას მალე დაიწყებს.

„რაც მთავარია, IOTA Hotel-ის მშენებლობაში და კეთილმოწყობისას გამოყენებულია ეკოლოგიურად სუფთა ქართული ხის მასალები. სასტუმრო ნომრები და, ზოგადად, სასტუმროს ინტერიერი კლიენტის მოთხოვნებსაა მორგებული. სასტუმროში 300 კვ/მ ფართობზე განთავსებულია ვერტიკალური ბაღი“, – აცხადებს IOTA Hotel-ის მარკეტინგის დირექტორი.

მისივე ინფორმაციით, ვერტიკალური ბაღი ქართული ენდემური ჯიშების მცენარეებითაა განწყობილი.

IOTA Hotel-მა შესაძლოა გინესის რეკორდებიც კი დაამყაროს. როგორც სასტუმროს მარკეტინგის დირექტორი აცხადებს, სასტუმროში განთავსებული რესტორან „ლუმელიში“ დამონტაჟებულია უზარმაზარი ღუმელი და სწორედ ამიტომ მოლაპარაკებები და კონსულტაციები მიმდინარეობს კომპანია „გინესთან“, რათა საბოლოოდ დადასტურების შემთხვევაში IOTA HOTEL TBILISI-ის ღუმელმა შესაბამისი აღიარება მოიპოვოს.

სასტუმროში მოწყობა ასევე საკონფერენციო დარბაზიც, რომელიც 160 ადამიანზე იქნება გათვლილი.

IOTA HOTEL TBILISI-ში სასტუმრო ნომრების დაჯავშნა/გაყიდვა Booking.com-ზე უკვე დაწყებულია.

IOTA Hotel-ი თბილისის ცენტრში, ტაბიძისა და ლერმონტოვის ქუჩების კვეთაზე მდებარეობს და მისი რეკონსტრუქცია ინვესტორმა 2016 წელს დაიწყო.

ლერმონტოვის №10-ში წლების წინათ ენერჯეტიკის სამინისტრო იყო განთავსებული, ხოლო შემდგომ თბილისის საკრებულო.



მეუღლე ინა, შვილები ივა, მაია წერეთლები, სიძეები გია ლაცაბიძე, გია მესხიშვილი, შვილიშვილები გურამი, ანრი, მარიამი, ძმები ვახტანგ, ავთანდილ, ზურაბ წერეთლები ოჯახებით იუნყებიან

გურამ წერეთლის გარდაცვალება

პანაშვიდი: 26, 27 V 16 სთ. დაკრძალვა: 28 V, 14 სთ. მისამართი: ცოტნე დადიანის 21/23.

ძმები ვახტანგ, ავთანდილ, ზურაბ წერეთლები ოჯახებით იუნყებიან ძმის

გურამ წერეთლის გარდაცვალება

ძმისწული ვახტანგ წერეთელი, მეუღლე ქეთა ჯაფარიძე იუნყებიან ბიძის

გურამ წერეთლის გარდაცვალება

ლალი ჩხეიძე, გივი, სანდრო ჯაფარიძეები თანაუგრძნობენ ვახტანგ, ავთო და ზურაბ წერეთლებს საყვარელი ძმის, უსათნოესი ადამიანის

გურამ წერეთლის გარდაცვალების გამო

ციცო ჯაფარიძე, სოსო თავაძე თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ავთო წერეთელს ძმის

გურამ წერეთლის გარდაცვალების გამო

მზია, მამუკა ადამიები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ავთო წერეთელს ძმის

გურამ წერეთლის გარდაცვალების გამო

აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო სამიძიარს უცხადებენ აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის თანამშრომელს, ტელეჟურნალისტ ელისო ხუტკუბიას დის

სიალა ხუტკუბიას გარდაცვალების გამო

სანთელი

ზაურ ლეჟავას სსოვნა

მემობარტა სიყვარულსა და საქმის ერთგულადაი დაუარყოფილი სისოხსლა

ერთი წელი ისე სწრაფად გავიდა, თითქოს გუშინ მოხდა შენი ზეციურ საქართველოში გადაბრძანება. ახლა ვიგრძენით შესანიშნავი პიროვნების, არაჩვეულებრივი მეგობრისა და კეთილშობილებით სავსე ადამიანის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. შენ ხომ ტოლი არ გყავდა მეგობართა სიყვარულში, საქმის ერთგულებაში. ერთადერთ და მთავარ ნაკლად იმას გითვლიდით, რომ ოჯახი არ შეგიქმნია და მთელი სიყვარული და სითბო ახლობლებზე და მათ შვილებზე გადაანაწილე. მის კაცურ თვისებებს, ძირძველ ვერებობას უბრალოება, მოკრძალება და რიდი ახლდა თან.



პოლიტიკური ინსტიტუტის დამთავრების დღიდან (1961 წ.) პურპროდუქტების სისტემაში იმუშავა პროფესიონალმა ინჟინერმა, შემდგომ კი რესპუბლიკაში ერთ-ერთი მონინავე საწარმოს – თბილისის ცხიმკომბინატის მთავარი ინჟინერი გახდა, ყველას თავი დაამახსოვრა როგორც დიდმა პროფესიონალმა და ერთდირებულმა სპეციალისტმა, რისთვისაც რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის წოდება მიანიჭეს. რაც მთავარია, დამსახურა ახლობლებისა და მეგობრების დიდი სიყვარული.

ცრემლითა და დარდით ვისხენებთ ჩვენს მეგობარს, რომელიც ამ ქვეყანას 78 წლისა განემორა.

მემობარტი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლინიტი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ფატიმა უზუნალოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

- აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ფატიმა უზუნალოვი (პ/ნ 01008038404), თბილისი, ზემო ვეძისის დასახლება №20.
2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, ქაქუცა წილეთაშვილის ქუჩისა და მდინარე მტკვარს შორის, სართული 13, ბინა №274 (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.508.02.274).
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2017 წლის 26 მაისი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2017 წლის 9 ივნისი, 15:00 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
6. აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 442037
7. მოვალე: ფატიმა უზუნალოვი (პ/ნ 01008038404), თბილისი, ზემო ვეძისის დასახლება №20.
8. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლინიტი“ (ს/კ 204572284), ოურიდოული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
9. აუქციონის პირობები:
• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლება შეიძლება შეიღებოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაყვარებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“;
• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლინიტი“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP44203717; ლოტის ნომერი: 442037).
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 9 ივნისის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

მრავალუბრაიერ! ერის სიკეთისთვის მეზობელი კაცი



„ქვერივ-ობლების განმკითხავი, ქველმოქმედი, უპოვართა და უბედოთა დამპყრებელი, ქართული ზნეობისა და ტრადიციების დამფასებელი, ლაკადური მირონით მონათლული, არქეოპოლისისა და ძველი ციხე-კოშკების გუშაგი და მეციხოვნე“ – მხოლოდ ამ სიტყვებით რომ შეგამკოს თანამედროვეებმა, ამისთვის ღირს სიცოცხლე და ამქვეყნად მოსვლა. შეიძლება ვინმეს ეცოტავოს კიდევ ამგვარი მოფერება და მეტი იყო საჭირო, ბრძანოს და მართალიც იქნება, ის, ვინც იცნობს, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია ურთიერთობა, ვისაც მის გვერდით დგომის მაღლი სცნებია, დაგვემონებება, რომ

მართლაც უღვევი მოფერების ღირსია უერთგულესი ძმა, საძმომში გამორჩეული კაცი, ჩვენი

დემურ გაღელია

იგი იუბილარია, 77 წლისა შესრულდა. გარბის წლები და ახლა უფრო მძაფრად ვგრძნობთ იმ სიყვარულს, ერთგულებას, რომელსაც იგი იჩენდა და იჩენს სამეგობროს მიმართ. ჩვენო დემურ, ღმერთმა მრავალჯერ მოგვალოცინოს შენთვის დაბადების დღე.

დიდი სიყვარულითა და ერთგულითა
შენი მეგობრები

მეგობრებთან მილოცვას უერთდება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კოლექტივი. წარმატებული მენარმე, დიდბუნებოვანი ქველმოქმედი, უპრეტენზიო მეცნიერი, ჭეშმარიტი კოლხი, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი და მატარებელი ამ ტრადიციებისა, ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი, ავტორი და მეგობარი, ბატონი დემურ გაღელია 77 წლისა შესრულდა. გულითა და სულით ვულოცავთ დაბადების დღეს, ჯანის სიმრთელეს და საყვარელი ხალხის ბედნიერებასა და ჯანმრთელობას ვუსურვებთ.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

სააკაშვილი უკრაინაში რუსული საიტების დაბლოკვის წინააღმდეგია

პიპის მიერ რუსული საიტებისა და სოციალური ქსელების დაბლოკვის გადაწყვეტილებას ოდესის ყოფილი გუბერნატორი გამოეხმაურა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, პოროშენკოს გადაწყვეტილება არაადაამიანურია და უკრაინის მოქალაქეებისადმი პრეზიდენტის გულგრილ დამოკიდებულებას მეტყველებს.



რუსული საიტების დაბლოკვის გადაწყვეტილება პოროშენკომ გასულ კვირას მიიღო. შავ სიაში სოციალური ქსელები „ვეკონტაქტე“ და „ოდნოკლასნიკი“ მოხვდა.

დედაბაღი

ხალხი, რომელსაც ლიტერატურა უყვარს...

თბილისის წიგნის მე-19 საერთაშორისო ფესტივალს ამ სადღესასწაულო დღეებში საგამოფენო კომპლექსი ექსპო-ჯორჯია მასპინძლობს.

წიგნის მოყვარულთა ეს ჭეშმარიტი ზეიმი ისევე, როგორც წინა წლებში, საგამომცემლო სახლების მიერ წარმოდგენილი პროდუქციის მრავალფეროვნებითაა გამორჩეული. 25 მაისს საზეიმოდ გახსნილი ფესტივალის ფარგლებში, რომელშიც წიგნის გამომცემელთა გარდა აქტიურად მონაწილეობენ ქართველი და უცხოელი ავტორები, უცხოეთის ქვეყნების საელჩოების კულტურის დეპარტამენტების, უნივერსიტეტების, საერთაშორისო ფონდების წარმომადგენლები, წიგნის გამავრცელებლები სხვადასხვა სახეობის ასზე მეტი კულტურული ღონისძიება დაგეგმილი. კერძოდ, მოუწყობა ახალი წიგნების პრეზენტაციები, შეხვედრები ავტორებთან, საჯარო კითხვები, ლიტერატურული დისკუსიები, პროფესიული სემინარები, კოსტუმირებული კარნავალიც კი.



წლებანდელ წიგნის ფესტივალს, არსებობის ისტორიაში პირველად, ფოკუს-ქვეყანა ჰყავს – ნორვეგია, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი გავლენიანი ლიტერატურული ფონ-


დით NORLA-თი და მწერალთა მცირე დელეგაციითაა წარმოდგენილი, რომლის წევრები არიან როსკვა კორიციანსკი, ნილს ჰენრიკ სმიტი, სიმენ ეკერნი და სიგბორნ მოსტიუ.

ფესტივალის ორგანიზატორებმა საგანგებოდ იზრუნეს ჩვენს პატარა მკითხველებზეც და მათ, ტრადიციისამებრ, საკუთარი კუთხე მოუწყვეს, რომელშიც ასევე სხვადასხვა გასართობი და ინტელექტუალური ღონისძიება გაიმართება.

სამამულო და უცხოური გამოცემის წიგნები საგრძნობი შედეგით იყიდება, თავად ფესტივალის კი 28 მაისამდე გასტანს.

ლალი ხუნდაძე

ელგუჯა ნაღარეშილის ფოტო



მეზობელი ბატონის მგზავრებს საჩუქრად „ვეფხისტყაოსანი“ დაურიგდათ

თბილისის მერიის კამპანია „ვეფხისტყაოსანს ტრანსპორტში“ გრძელდება. მეტროსადგურ „რუსთაველის“ მიმდებარედ, ასევე მატარებლის მოსაძვდელ ბაქანზე მგზავრებს საჩუქრად 6 სხვადასხვა გამომცემლობის 300 წიგნი გადაეცა.



„ნეკერის“, „დიოგენის“, „ინტელექტის“, „მერიდიანის“, „სეზანისა“ და „პალიტრა L“-ის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ამ პოემის შესახებ გამოცემული წიგნები მერიისა და გამომცემლობების წარმომადგენლებმა დაარიგეს.

კამპანიის „ვეფხისტყაოსანს ტრანსპორტში“ ფარგლებში, რომლის მიზანია წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, მუნიციპალური ტრანსპორტის მგზავრებს წიგნები საჩუქრად გადაეცემა.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS REPUBLIKA

სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
599 53-76-16;
ალექო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „თანადგომი“-ს გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„ქოლორ პრესი“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22)
ს-323

ISSN 2233-3851



ავტორთა
საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუსილებლად წაიკითხე!

საქართველოს რესპუბლიკის
საქართველოს რესპუბლიკის

აპრილი 26 მაისისთვის
აპრილი 26 მაისისთვის

დაგვიკავით, მოგვწერით:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge